წელიწადი მეორე ფასი 7 კაპ. სამშაბათი, 11 ღვინობისთვე 1916 წ. № 225

საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.
ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის:
Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს [illegible] კ., უკანასკნელზე—10 კ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით 15×2 ღირს 5 მ.; 20×2 ღირს 7 მ., 25×2 ღირს 8 მ. 3 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში) ეღირ. მეტი.
დამატებიანი № ღირს ყველგან 10 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

წელიწადი მეორე. **საქართველო** წელიწადი მეორე.

[illegible] ღირს: ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით 4 თვით—4 მ. 80 კ. 3 თვით—3 მ. 60 კ. 1 თვით—1 მ. 20 კ. თვიურად ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველიდან პირ-მდე.

პროვინციაში: წლიურად—10 მ. ხელის მოწერისას 5 მ. 1 თიბათვიდან—9 მან.

სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივის ზომისა ღირს 5 მან. ნაშუადღევის 4 საათის შემდეგ 6—მან.

გაზეთის კანტორა ღიაა დილით—9—3 საათამდე.

ფოსტის მისამართი: Тифлисъ. Московская ул. № 4, домъ Габаева. Почтовый ящикъ № 76.

რედაქტორ-გამომცემელი **ხანდრო შანშიაშვილი.**

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე ალექსანდრე მალხაზის ძე ნადირაშვილი, ღედა პელაგია ხელაძისა, დედამთილი ანა სოსიას ასული ნადირაშვილისა, ძმები ზაქარია, ლადო და ნინა, რძლები თამარა, სონა, ეკატერინე და მარიამი, მაზლები ნიკოლოზ, ზაქარია, მელიტონი, ივანე და სტეფანე მალხაზის ძენი, მულები ნინა და სონა ნადირაშვილები აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს 9 ოქტომბერს უდროოვოდ გარდაცვალებას

ეკატერინე დავითის ასულის
ნადირაშვილისას

რომლის პანაშვიდი დანიშნულია ყოველდღე საღამოს, 7 საათზედ, ხოლო გამოსვენება და დაკრძალვა წმ. ნინოს სასაფლაოზედ 13 ოქტომბერს, დღითი, ხუთშაბათს, დილის 10 საათ. მალაკნის ქ. ს. № 27.
(3—360—1)

ეკატერინე ქაიხოსროს ასული რაფალსკისა, ტატიანა ბესარიონის ასული და მეუღლე მისი ათანასე ათანასეს ძე რაფალსკები შვილებით—გრიგორ, ბორის და ლევანითურთ ულრმესის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უდროოთ გარდაცვალებას უსაზღვროთ საყვარლისა შვილისა, პირველისა: მეულისა და დისა, მეორეთა და დანარჩენთა: ძვირფასისა და პატივცემულის მამიდისა

ალექსანდრა (საშა) ათანასეს ასულის
ვაშაკიძისას

გამოსვენება მოხდება 11 ოქტომბერს, ნაშუადღევის სამ საათზე, საკუთარ სახლიდან (ქუთაისი, გოსპიტლის ქუჩა, № 6).
(1—362—1)

იოსებ ევნატეს ძე ვაშაკიძე, შვილებითურთ, დედა მისი ალათი, ძმა გიორგი, დები: ნადეჟდა და ქესარია და სიძე, გრიგორ გუგუშვილი, გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა, ნაცნობთა და მეგობართ, პირველნი: საყვარელი და მარად ჟამს სახსოვარი მეუღლისა და დედის, ხოლო დანარჩენნი: ძვირფასისა და ტკბილათ მოსაგონარის რძლის

ალექსანდრა (საშა) ათანასეს ასულის
ვაშაკიძის

უდროოთ გარდაცვალებას.

გამოსვენება მოხდება 11 ოქტომბერს, ნაშუადღევის სამ საათზე, საკუთარი სახლიდან (ქუთაისი, გოსპიტალის ქუჩა, № 6).
(1—362—1)

სასადილო
„ეკონომია“
პუშკინის ბაღის პირდაპირ.

„ფრანციის“ ნომრების ქვეშ, შტაბის ქუჩა.

მოწყობილია ევროპიულ პირველ ხარისხოვან რესტორანების მსგავსად. საჭმელები ევროპიულიც არის და ადგილობრივიც. ყოველ დღეა: ხარშო, ლობიო, საცივი, ხაჭაპური, „პიროჟკი“ და სხვა საუზმე. სადილი და ვახშამი. მიუხედავად სანოვაგის სიძვირისა, „ეკონომიაში“ სადილები ძეტად იაფია. გამოცდილი მზარეული სადილს კარგათ ამზადებს.

სასადილოში არის ნარდი და ბილიარდი

პატივისცემით „კაფე-პარიზის“ წინანდელი მწარმოებელი
(თ. 253—17) დიმიტრი უჩ. ზიზიბერია და ნ. ზ. ქურთაური

პირველ ხარისხოვანი რესტორანი

კაფე პარიზი

ახლად მოწყობილი მსგავსად სატახტო ქალაქთა რესტორანებისა.
(სასახლის ქუჩაზე „ახალ კლუბის“ ქვეშ)

სიცხისაგან თავის შეფარება მხოლოდ „კაფე პარიზში“ შეიძლება.

ფასები ყველასათვის ხელმისაწდომია

ყოველ დღე მზადდება

საუზმე	ჩაი
სადილები	ყავა
ვახშმები	ხაჭაპური
	პიროჟკები

ადგილობრივი და უცხოური საჭმელები, კარაქში, გამოცდილ მზარეულის ხელმძღვანელობით.

პატივისცემით ხიდ. ხ. გიგიბერია.

დაიბეჭდა ბ-ნ დ. უზნაძის მიერ შედგენილი წიგნი:

„მსოფლიო ისტორიის სახელმძღვანელო“

პირველი ნაწილი ძველი აღმოსავლეთი და პირველყოფილი კულტურა, ფასი ყდით ექვსი აბაზი.

და ბ-ნ ვახ. წერეთლის მიერ შედგენილი:

ქართული სამეცნიერო და საფილოსოფოსო
ტერმინოლოგია

ივანე პეტრიწის თარგმანის მიხედვით, ფ. 30 კაპ.
გამოცემულნი თ. მთავრიშვილისა და ამხ. წიგნის მაღაზიის მიერ.

იბეჭდება და მალე გამოვა ბ-ნ ს. გორგაძის მიერ შედგენილი ქრისტომატია

ჩვენი ახალი მწერლობა

და ბ-ნ ვ. ყიფიანის მიერ შედგენილი

ალგებრა ქართულ ენაზე.

(10—203—1)

სახალხო სახლი
სეზონის დასაწყისი.

ოთხშაბათს, 12 ღვინობისთვეს თბილისის ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება ი. გედევანიშვილის

I.
მსხვერპლი
პირველი და მესამე მოქმედება.

II.
გულმა იგრძნო
კომ. 1 მოქ.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ◆ ◆ რეჟისორი ალ. წუწუნავა.
(3—202—2)

ექიმი
ფონ-ირტელი

(მიხეილოვის პროსპ. 128, კრილოვის ქუჩის კუთხე, 1, შესავალი კრილოვის ქუჩიდან, სახლი ოჰანეზოვისა).

მოსკოვის სახაზინო საავადმყოფოს ყოფილი ორდინატორი, სპეციალისტი დოსტაქრობისა, საშარდე მილისა, სქესობრივი ორგანოებისა, სიფილისისა და მის შედეგებისა (საშარდე მილის დავიწროება), სქესობრივი უძლურებისა, სიმსივნისა, ჭრილობისა, ბუასილისა, თეთრანასი (Бѣли), საშარდე ბუშტის სნეულებისა და საშვილოსნოსი. ორივე სქესის ავადმყოფების მიღება ხდება დილის 9½-დან 1 საათამდე და ნაშუადღევის 5—9 საათამდე.

ერლიხის „914“ და „606“

შეშხაპუნება

ექიმი-დოსტაქარი

გ. მ. მუხაძე

იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. **მისამართი:** კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, პოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა

ახალი აფთიაქი

◆ პროვიზორის ახვლედიანისა ◆

ექიმი

გ. ი. ვაჩნაძე

იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს მუდამ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ბელინსკის ქ. № 4. (თ.—202—)

[illegible] მედიცინისა

მოსე ანთიმოსის ძე

კალანდარიშვილი

უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს ოლღას ქ. № 3.

მასსაჟს, კანს ქვეშ შეშხაპუნებას და შეხვევას კისრულობს

სპეციალისტი ფერშალი და მასსაჟისტკა ქალი

დღის 3 საათიდამ საღამოს 7 საათამდის. თუმანოვის შესახვევი, № 24.
(თ. 343—16)

სურსათის საქმე და სათათბირო

რაც დღე გადის ხალხის გამოკვების საკითხი თან და თან უფრო მწვავდება მთელ რუსეთში; სამი მინისტრი ზრუნავს სასურსათო საქმის მოგვარებაზე: მიწათმოქმედების, რკინის გზისა და შინაგან საქმისა,—მაგრამ ვერ იქმნა და ხალხის გამოკვების საქმე ვერ მოეწყო ისე, როგორც ჯარისა...

ხალხის გამოსაკვებად საჭიროა სამი რამ: პირველი—სურსათის შოვნა-ყიდვა, მეორე—ნაყიდ სურსათის გადატან-გადმოტანა, მესამე—ადგილზე მიტანილ სურსათის განაწილება. აქამდის საბედისწერო ხასიათის იყო მხოლოდ მეორე—გადატან-გადმოტანა, ტრანსპორტი, რადგან რკინის გზა გადატვირთულია სამხედრო საქონლით და მასალით... ყიდვა და განაწილება კი უფრო ადვილი იყო, რადგან საკვები ბლომად იშოვებოდა წარმოების ადგილზე... მაგრამ რუსეთმა ვერ მოახერხა ვერც ამ ერთი საქმის, ტრანსპორტის, მოგვარება; რკინის გზის ერთი მინისტრი, რუხლოვი, კიდეც შესწირეს ამ ტრანსპორტის უწესოებით გაბოროტებულ საზოგადოებრივ აზრს, მაგრამ რკინის გზების ვაგონები ახალ მინისტრის ხელთ ქვეშ ისევე უცნაურად მიდი-მოდიან, როგორც წინედ; ამიტომ არის, რომ რუსეთი რამოდენიმე კუთხეთ დაიყო: ზოგან ბევრი პურია, მაგრამ შაქარი არ არის; ზოგან ბევრი შაქარია და პური—ხორცი კი არ არის; ზოგან კი დიდ ქალაქებში არც პურია, არც ხორცი და არც შაქარი. მიზეზი ისაა, რომ რკინის გზები აღარ ასრულებენ თავის დანიშნულებას, ან და თუ ასრულებენ—მეტად უცნაურად... ამიტომ ციმბირი დანარჩენ რუსეთთან შედარებით პირდაპირ უცხო ქვეყნად გადაქცეულა: აქ იმდენი ხორცია, რომ გირვანქას ორ შაურად ჰყიდიან, დანარჩენ რუსეთში კი კვირაში ოთხს დღეს მარხულობენ... ციმბირში იმდენი კარაქია, რომ უგზოობის გამო, საპონს ამზადებენ. სატახტო ქალაქებში კი კარაქის მაგიერ სწორედ საპონისათვის გამოსადეგ ქონსა სჭამენ.

ამგვარად, მარტო ტრანსპორტის უწესოებაც კმაროდა სასურსათო საქმის ასარევად. მაგრამ ამ ბოლო ხანს, მას სხვა ჭირიც დაერთო თავზედ: ტრანსპორტის მოწყობა რიღას მაქნისია, როდესაც გადასატან-გადმოსატანიც აღარ მოიპოვება. ქალაქში მცხოვრებთ და აგრეთვე ხალხის იმ დიდ ნაწილს, რომელიც ნაყიდი სურსათით საზრდოობს, პირდაპირი სიმშილი მოელის, რადგან საზრდოს პატრონი, სოფლელი, დიდი მემამულეც და გლეხიც, აღარ ჰყიდიან თავისი მეურნეობის ჭირნახულს... რუსეთში წლეულ კარგი მოსავალი იყო და ბეღლებში ჯერ კიდევ აუარებელი ხორბალი ძევს, მაგრამ პატრონებს ბევრგვარ მიზეზთა გამო აღარ გამოაქვთ ბაზარზე იგი. გლეხი „შავი დღისათვის“ ინახავს—ეშინია ომს საერთო სიმშილი არ მოჰყვესო,—მსხვილი მემამულე კიდევ „წითელ დღეებს“ მოელის, აიწევა კარგად მაშინდა და მაშინ გავყიდიო... გლეხს აფიქრებს აგრეთვე ქაღალდიდან ნაკეთებ ფულის ღირებულობის დაცემა; ეშინია, ვაი თუ გაყიდულ პურში აღებული მანათიანებით თვითონ ვერაფერი იყიდოს... და ამიტომ იგი ინახავს თავისთავად ფას-ღირებულ ხორბალს... მოსაზრება იგივეა, რაც მდიდარ ხალხს აიძულებს ქაღალდის ფულის გაცვლას ოქროს ნივთებში და ბრილიანტებში...

ასე თუ ისე, ამ ჟამად რუსეთის მთავრობას და საზოგადოებას საზრუნავი ვაუხდა სასურსათო საკითხის თავი და თავი მხარე—ჭირნახულის შოვნა-ყიდვა. მიწათმოქმედების მინისტრმა და მასთან არსებულმა „საგანგებო სასურსათო საბჭომ“ ვერ შესძლო ნაკისრევ საქმის შესრულება. სიმძიმის ცენტრი ახლა სწორედ იმაშია, თუ როგორ გაყიდონ მწარმოებელთ ის ზედმეტი ჭირნახული, რომელიც უნდა მოხმარდეს საზრდოს მოკლებულ ხალხს. ერთი სიტყვით, დროა, რომ სახელმწიფომ აიღოს თავის ხელში ხალხის გამოკვება, ისე როგორც ეს მოხდა გერმანეთში. ამისათვის მთელ რუსეთში უნდა აღიწეროს გასაყიდი ჭირნახული უნდა, ჩამოერთვას პატრონთ სარეკვიზიციო კანონის და „მტკიცე“ ფასის მიხედვით და შემდეგ განაწილდეს სახელმწიფოს სხვა და სხვა კუთხეთა შორის. მაგრამ სასურსათო დიქტატურას ძლიერი ხელწიფება უნდა, რომელიც ჯერ ხნობით რუსეთში არ მოიპოვება: თვით „მტკიცე“ ფასებსაც „მტკიცე“ მთავრობა სჭირია. რუსეთის საზოგადოებაც ამას აყვედრის მთავრობას და ითხოვს, რომ ხელმწიფება მას გადასცენ მინისტრთა იურიდიული მდგომარეობის შეცვლით.

ამიტომ, ამას წინად შეკრებილმა საბიუჯეტო კომისიამ, კადეტების მეთაურთა წინადადებით, დაადგინა ეთხოვოს მთავრობას სახელმწიფო სათათბიროს დაუყოვნებლივი მოწვევა, რათა მან აიღოს თავის ხელში სრულიად რუსეთის გამოკვების საქმე...

როგორც ვიცით, სათათბიროს დათხოვნის დროს მისი მუშაობის განახლების დროც იყო აღნიშნული, სახელდობრ, 1-ლი გიორგობისთვე... სულ სამი კვირა თუ არის დარჩენილი მანამდის და ამიტომ საბიუჯეტო კომისიის დადგენილებას პრაქტიკულად ცოტა აზრი აქვს... ასე თუ ისე სათათბირო მალე გაიხსნება და ახლავე ცხადია, რომ მისი მთავარი საზრუნავი სწორეთ სასურსათო საკითხი იქნება.

მოაგვარებს თუ არა სათათბირო ამ მწვავე საქმეს ბედნიერად, მოახერხებს თუ არა იგი ამ საკითხთან ერთათ სახელმწიფო მართველობის, კონსტიტუციურ საკითხის გარდაწყვეტასაც, თუ თავის მოქმედებით იგი ერთხელ კიდევ გაამართლებს იმ ანდაზას, რომ „ყოველი ერი თავის მთავრობის ღირსია“—ამას მალე დავინახავთ.

ახალი.

ომის ამბები

ბრძოლის ველზე

რუმინეთის მდგომარეობა თითქმის ყოველ დღე უფრო და უფრო საგრძნობლად მწვავდება. გერმანელების საუკეთესო მთავარსარდლები ფალკენჰაინი და მაკენზენი აუარებელი ჯარით სამხრეთით და ჩრდილოეთით გამაგრებულები უტევენ. გუშინდელ ოფიციალ დეპეშის ცნობით, მდ. ბუზიეს ნაპირებით რუმინეთის ჯარი ვეღარ იკავებს ავსტრო-გერმანელებს და უკან იხევენ. აგერ ორი-სამი დღეა მაკენზენმაც განაახლა შეტევა და აიძულებს დობრუჯაში მოპირდაპირეს დაუთმოს მისი სიმაგრეები. თვით რუმინელები, როგორც მათ გაზეთებიდან სჩანს, მტრის შესევას შიშით მოუცავს და თავიანთ იმედებს მოკავშირეებზედ ამყარებენ. ყოვლად შეუძლებელიაო, ამბობს მათი ოფიციოზი, ჩვენმა ჯარმა შესძლოს გერმანელები და ავსტრიელები ორივე ბრძოლის ველზე შეაჩეროს და მასთანვე შეტევა აწარმოვოსო. მოკავშირეებმა ან ჯარები უნდა მოგვაშველონ და ერთ ერთ ბრძოლის ასპარეზზე თვით აწარმოვონ იერიშები, ან და სხვა ალაგას, რომელიმე მთავარ ასპარეზით გენერალური ოპერაცია დაიწყონ გერმანელების წინააღმდეგო.

არც ერთი სამხედრო მიმომხილველი არა მალავს, რომ რუმინეთი თანდათან გაჭირვებაში ვარდება. მოპირდაპირემ მოულოდნელად დიდძალი ჯარები მოაგროვა ტრანსილვანიაში და დობრუჯაში და ახალ მოკავშირის ბედ-იღბალი განსაცდელში ჩააგდო. დახანება ყოვლად შეუძლებელია, რადგან გენ. ფალკენჰაინი უკვე კარპატებს მიადგა და საცაა ამ მთებს გადალახავს, მაშინ საქმის გამოსწორება ძნელიდა იქნება და რუმინეთის კატასტროფისაგან ვეღარ იხსნიან. ასეთივე საფრთხე ელის რუმინეთს დობრუჯიდანაც, სადაც მაკენზენი აშკარად ცდილობს იმდენად შეიჭრას რუმინეთში, რომ შესძლოს ჩრდილოეთით წამოსულ ავსტრო-გერმანელების ჯარს შეუერთდეს.

აღმოსავლეთ ბრძოლის ველზედაც მდგომარეობა უფრო მწვავდება. გერმანელები ისევე სასტიკად უტევენ და ცდილობენ ბრძოლის ხაზის გარღვევას. სიმაგრეები ხელიდან ხელში გადადისო, ამბობს მთავარ შტაბის ოფიციალი დეპეშა. რა შედეგს მიიღებს აქ დაწყებული ბრძოლა, ამას იმედია მალე გავიგებთ.

დანარჩენ ბრძოლის ასპარეზზე ღირსშესანიშნავი არაფერი მომხდარა.

X.

ომის დეპეშები

9 ღვინობისთვე.

უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა.

პეტროგრადი. დასავლეთის ასპარეზი. იულიანოვისა და ალექსანდროვსკის ახლოშენებში, კისელინის ჩრდილოეთით რვა ვერსზე ზარბაზნებით ბრძოლაა. შელვოვის მიდამოსა და ბუბნოვის დასავლეთით მზვერავების მოქმედებაა. იაროსლავიჩის მიდამოებში, ტარნოპოლ-ზლოჩევის რკინის გზის ჩრდილო-დასავლეთით, ერთი ჩვენი ქვეითა პოლკი ღამე მავთულების ხლართების გადალახვის შემდეგ, მტრის თხრილებში შეიჭრა, რიგი დახოცა, რიგი დაატყვევა და უკანვე გამობრუნდა. კონიუხის მიდამოში, ტარნოპოლის მიმართულებით, ჩვენ სამმა როტა ელდასავით ეცა მოპირდაპირის სამ სადარაჯოს და დარაჯები დაატყვევა. სოფ. სვისტელნიკის სამხრეთით 2 ვერსზე, მდ. ნარაიუვკაზე, ვანოვიცის მხრიდან მოტანილი მტრის შემოტევა მოვიგერიეთ. ტყიან კარპატებში სთოვს, მთის ქანჩახებში 2 არშინზე დასდო. დორნა-ვატრას სამხრეთით მოპირდაპირემ ჩვენს სადარაჯოზე იერიში მოიტანა, ასიოდე კაზაკმა იერიში მოიგერიეს, მტერი უკუაქციეს, ფეხდაფეხ დაედევნენ და დააგდებინეს 1 ტყვიისმფრქვეველი, 1 სანგრის ზარბაზანი და ტყვეები.

კავკასიის ასპარეზზე არსებითი არაფერი მომხდარა.

დობრუჯა-კოკარჯას მიდამოებში მოპირდაპირემ დილით შემოგვიტია და ეს სოფელი აიღო. მთელი დღის განმავლობაში იერიშები მოჰქონდა როგორც ამ მიდამოებში, ისე მის აღმოსავლეთით, მაგრამ თოფის სროლითა და ხელის ყუმბარებით მოვიგერიეთ.

10 ღვინობისთვე.

პეტროგრადი. დასავლეთის ასპარეზი. მდ. ნარაიუვკაზე, სოფ. სვიტელნიკისა და სკომოროხის მიდამოებში, მედგარი ბრძოლაა ამ დინარის მარცხენა ნაპირას ტყეებისა და მაღლობების დასაპყრობლად. ეს ადგილები ხელიდან ხელში გადადის. მოპირდაპირეს თავგანწირული იერიშები მოაქვს რომელსაც ჩვენ სროლით ვიგერიებთ.

კავკასიის ასპარეზზე არსებითი არაფერი მომხდარა.

რუმინეთის ასპარეზი. ჩრდილო და ჩრდილო-აღმოსავლეთის ასპარეზი. ზეკასთან, პიატრას დასავლეთით 40 ვერსზე, რუმინელებმა ალყა შემოარტყეს მოპირდაპირის რაზმს, რომელსაც მთის გორაკები ეჭირა, დაატყვევეს 500 ჯარის კაცი, ხელთ იგდეს 2 ზარბაზანი და 5 ტყვიის მფრქვეველი. მდ. ტროტუშის ველში ბრძოლის საქმე მარჯვედ მიდის. აქ წამოიყვანეს 100 ტყვე, მათშორის 1 ოფიცერი. წამოიღეს ორი ტყვიის მფრქვეველი. მდ. უზის ველში დიდად დაზარალებული მტერი უკუვაგდეთ.

მდ. ბუზიოს ველში მტრის ზედმიწოლით რუმინელების ჯარი იძულებული გახდა გურისა და სირილუსაკენ დაეხია. ბრანის ხეობაში, დრაგოსლავეთან, კრონშტატის სამხრეთ-დასავლეთით 40 ვერსზე, (დ. რასსო) მტერი დიდად დავაზარალეთ და მოვიგერიეთ.

დობრუჯში მოპირდაპირე მთელ ბრძოლის ხაზზე იერიშებით მოდის. მისი ზედმოწოლით ჩვენმა და რუმინელების ჯარმა რამდენიმედ უკან დაიხია.

9 ღვინობისთვე.

ათინა. ბულგარელებმა კავალის ოლქში, დაიჭირეს ნუზლის სამონასტრო კარმიდამო. ეს მამულები წმ. ანდრიას მონასტრის საკუთრებაა. წაიყვანეს 27 ბერი 56—63 წლებისა. მათი ბედი ჯერ არ იციან. სამონასტრო ქონება დაიტაცეს.

სტოკჰოლმი. ბერლინიდან იტყობინებიან: რეიხსტაგში კანონ-პროექტი შეიტანეს, ახალ 12 მილიარდ მარკის სამხედრო სესხის აღებისა.

ჟურნალ-გაზეთებიდან

რუმინეთის ბედი.

ა. ოგლინის აზრი. ამ ჟამად უმთავრეს გულისყურს რუმინეთი იპყრობს. იქ ამ ორ კვირაში მდგომარეობა არსებითად შეიცვალა. ავსტრიელ-გერმანელებმა ტრანსილვანიაში დიდძალი ჯარი მოაგროვეს და შეტევა იწყეს. აღმოსავლეთ ტრანსილვანიაში ბრძოლა ავსტრიის მიწა-წყალზე სწარმოებდა, ეხლა კი მოლდავიის საზღვრებს მიუახლოვდა. ვალახიის ასპარეზზე რუმინელებმა დასტოვეს კრონშტატის მიდამოები და მოსაზღვრე მთის ხეობებს შეეფარნენ.

რუმინეთის გაზეთები არა ჰმალავენ შექმნილ მდგომარეობის საშიშროებას და დაბეჯითებით მოითხოვენ, მოკავშირეებმა სწრაფი და ნამდვილი დახმარება გაუწიონ. გასაგებია თუ მოპირდაპირე რად მიისწრაფის რუმინეთისაკენ. საერთოდ რუმინეთი და კერძოდ ვალახია მტრის სამფლობელოში სოლივით არის შეჭრილი. რუმინეთის საზღვრამდე რუსეთის ბრძოლის ხაზი თასმის ლარივით არის გაბმული, რუმინეთის საზღვრებიდან კი მტრის მხარეს შეზნექილია, თითქმის ბრძოლის ხაზი შეღვეულიყოს. ვალახია გასაღებია ავსტრია-უნგრეთის საარსებო ცენტრებისა. ვალახიის დაპყრობა ავსტრია-გერმანეთისათვის ისეთივე დამაამებელი მალამოა, როგორც წყლულში ჩამჯდარ ეკლის გამოღება.

მხოლოდ რუმინეთის დასავლეთ-სამხრეთი რომ ავიღოთ, ირგვლივ მისი მიჯნების ხაზი 1000 ვერსს უდრის. ამ მანძილზე რუმინეთი მხოლოდ თავისი საკუთარი ძალღონით უნდა გაუმკლავდეს მოპირდაპირეს. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ დასავლეთ რუსეთის ბრძოლის ხაზი სულ 1200 ვერსს უდრის, ხოლო საფრანგეთისა—700-ს, ადვილად წარმოვიდგენთ, რომ რუმინეთს არ შეუძლიან 1000 ვერსის მანძილზე იმდენი ჯარი გაიყვანოს რაც ამ ორმა სახელმწიფომ, და თითო ვერსზე რუმინელებს გაცილებით ნაკლები ჯარი ეყოლებათ. ამისათვის რუმინეთის ბრძოლის ხაზი უფრო ადვილი სავნებია, ვიდრე რუსეთისა ან საფრანგეთისა.

სრულებით ბუნებრივია რუმინეთის გაზეთების მუდარა მოკავშირეთა მიმართ, რათა დროზე გაუწოდონ დახმარების ხელი. რუმინეთის ხსნა ორის გზით შეიძლება, ან ჯარის მიშველებით, ან სხვა ასპარეზებზე ბრძოლის გაჩაღებით, რათა მოპირდაპირის ჯარი დაბანდდეს და რუმინეთისაკენ მისს გადაყვანას ხელი შეეშალოს. ეს მოპირდაპირემაც იცის. ამისთვისაცაა, რომ იგი რუსეთის დასავლეთ ასპარეზზე, კორბეისა, კირლი-ბაბასა და დორნა-ვატრის მიდამოებში შემოტევას აწარმოებს, რათა ჩვენი ჯარი ამ ადგილებს მიაჯაჭვოს და რუმინეთის მიშველების სახსარი მოუსპოს. თუ მოკავშირეებმა რუმინეთს შესაფერი დახმარება აღმოუჩინეს რუმინეთის ჯარი მოგერიებით ბრძოლას თავს დააღწევს და შეტევას დაიწყებს.

—

ქ. შუმსკის აზრი: ტრანსილვანიაში დაწყებული მედგარი ბრძოლა თანდათან გაფართოვდა და ბუკოვინის ასპარეზზე დორნა-ვარტამდე მიაღწია. ცხარი ბრძოლა იყო კირლიბაბას და კორომზეოს მიდამოებშიაც. კირლიბაბა და კორომზეო ბუკოვინისა და ტრანსილვანიის საზღვრის მახლობლადაა, დორნა-ვარტას ცოტა უფრო სამხრეთით, რუმინეთ-ბუკოვინა-ტრანსილვანიის მიჯნების კვანძში.

ტრანსილვანიის მიჯნებთან მთელი ბუკოვინის ბრძოლის ხაზზე მოპირდაპირე უტევს და დიდ ბრძოლას აწარმოებს. ბუკოვინისა და ტრანსილვანიის სამხრეთით, რუმინეთისა და ტრანსილვანიის მიჯნაზე მოპირდაპირე დიდი ძალებით იბრძვის. ეს არის დორნა-ვატრას სამხრეთით მდებარე მიდამოები, რომელიც შეიცავს ტრანსილვანიის სოფლებს: დიოდიოს, დიორდიო დიტროს, დიორდიო-ს, მიკლეშსა და სხვა. ამავე მიდამოებზე გადის გზები ტრანსილვანიის ქალაქ ბისტრიცასა და კლაუზენბურგისაკენ. ეს მიდამოები მოლდავიის მომიჯნავე ადგილებია. მოკლეთ რომ ითქვას ეხლა ცხარე ბრძოლა სწარმოებს დუნაიდან მოკიდებული აღმოსავლეთ გალიციამდე და დაახლოვებით 600 ვერსის ბრძოლის ხაზს წარმოადგენს. ცხადია, რუმინეთის წინააღმდეგ მიმართული მოპირდაპირის მოქმედება უმწვერვალესობამდე განვითარდა.

მოლდავიის მიჯნებზე მოპირდაპირე დიდის ძალებით უტევს რუმინელებს.

საერთოდ ეტყობა, რომ ავსტრია-გერმანეთ-ოსმალეთის ჯარის მიზანია რუმინელები ტრანსილვანიიდან განსდევნონ. ორი კვირა მოანდომეს, რომ რუმინელები ტრანსილვანიის სამხრეთ-ნაწილიდან ვალახიაში გადაერეკათ, ეხლა კი მთელის ძალღონით აწვებიან, რომ ვალახიიდან მოლდავიაში გადარეკონ. აქ წარმოებული მედგარი ბრძოლა ასეთსავე ბრძოლას იწვევს ბუკოვინის მეზობლად მდებარე ხაზზე კორიტნიცასა, ზბოროვსა და სხვა ადგილებში, ესე იგი ვლადიმირ-ვოლინისა და ლვოვის მიმართულებით.

—

ვ. მიხაილოვსკის აზრი: ტრანსილვანიაში ფელდმარშალ ფალკენჰაინს სულ დაჰკლებია 50 ათასამდე მეომარი, მოკლული, დაჭრილი თუ ტყვედ წაყვანილი. შეიძლება ვიფიქროთ, რომ რუმინელებს ამაზე ნაკლები ზარალი მოუვიდოდათ. გერმანელები აწვებიან რუმინეთის ჯარს პრედეალის მთის გზების გეზზე, რადგანაც აქედან მიდის პირდაპირი გზა რუმინეთის დედა ქალაქ ბუქარესტისაკენ. ტერებურგის მიმართულებით გერმანელებმა აიღეს კარპატის ხეობები, რუმინელებმა კი სოფ. რუკერისაკენ დაიწიეს, საზღვრიდან 9 ვერსზე. რუკერს დიდი მნიშვნელობა იმითი აქვს, რომ ამ გზით მოპირდაპირე პრედეალის ვიწრო ხეობას ზურგიდან მოექცევა.

ცოცხალი ძალის სიმცირეს რუმინელები არ უნდა ჰგრძნობდნენ, მაგრამ შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ სასროლი მასალა ძალიან ნაკლებ აქვს და ამ მხრივ მისი იმედები მოკავშირეებზე ემყარება, რადგანაც რუმინეთში სრულებით არ არის არავითარი სამხედრო მრეწველობა. რუმინული გაზეთები ამისათვის ვედრების თვალით მოკავშირეებისაკენ იცქირებიან.

—

იგივე მიხაილოვსკი მეორე წერილში ამბობს: რუმინელები მოპირდაპირის იერიშებს იგერიებდნენ მხოლოდ ჩრდილოეთის ბრძოლის ხაზზე, ვალახიის მიჯნასთან, რუმინელების სიტყვით „კაიმენის აღმოსავლეთით, რომელსაც გერმანელები უწოდებენ „წითელ კოშკის მისავალს“.

სააგენტოს დეპეშაში მოხსენებული იყო, რომ ავსტრია-გერმანელებმა ტრანსილვანიის მხრით გააფთრებული იერიშები დაიწყესო, მაგრამ სად, რომელ ადგილას, ეს კი არ იყო ნახსენები. მაგრამ, რადგანაც გერმანელებს მოშხამული გაზიც უხმარიათ, შეიძლება ვიფიქროთ, რომ იერიშები მიუტანიათ რუმინელების დიდად გამაგრებულ ადგილებზე, რადგანაც მოშხამული გაზი მოპირდაპირეს ამ შემთხვევის გარდა ჯერ საველე ბრძოლის დროს არ უხმარია. ერთი რამ კი ეჭვს გარეშეა, ფალკენჰაინს დიდძალი ჯარი ახლავს. ტყუილად კი არ გაჰკივიან რუმინული გაზეთები, ჩვენი ჯარი მარტო ვერ გაუმკლავდება რიცხვით გაცილებით ძლიერს მოპირდაპირეს და მოკავშირეთა ვალდებულებაა დროზე მიეშველნენ ტრანსილვანიის ასპარეზსაო. რუმინეთის ოფიციოზი „ენდეპანდანს რუმენ“-ი სწერს: რუმინელებს მაშინ დაეხმარებიან მოკავშირეები, თუ დობრუჯში იმდენი ჯარი მიაშველეს, რომ რუმინელებს ხელფეხი გაეხსნათ და მთელი თავისი ჯარით ტრანსილვანიაში გადავიდნენო.

ჩვენთვისაც სასურველია გავიზიაროთ „ტაიმს“-ისა და ინგლისის სხვა გაზეთების იმედიანობა, რომ რუმინელები ისეთს მასპინძლობას გაუწევენ ავსტრია-გერმანელებს, როგორსაც არ მოელიანო, მაგრამ...

რუმინეთის ასპარეზზე ბრძოლის ვითარება ძლიერს გავლენას იქონიებს ოფიციალ საბერძნეთზედაც, რომელიც განაგრძობს გერმანეთის იარაღის ძლევამოსილების ქებათა-ქებას.

დორნა ვატრას სამხრეთით მოპირდაპირეს დიდძალი ჯარი აუმოქმედებია. დორნა-ვატრა ბუკოვინისა და რუმინეთის მიჯნაზეა. სჩანს მოპირდაპირეს სწადიან ჩრდილოეთ მოლდავიაში გაიკაფოს გზა, რომ ზურგიდან მოექცეს მარჯვენა ფრთაზე მომქმედ გენ. ილიესკუს ჯარს. დეპეშებში ნახსენებია აგრეთვე ბრძოლა კოროსმეზოსთან, რომელიც ტარტარის ქედიდან 6 ვერსის მანძილზეა. ჯერ არ ვიცით ვის ხელშია კოროსმეზო.

ტარნოპოლიდან ლვოვისაკენ მიმავალ რკინის გზაზე, ზბოროვის მიდამოებში მედგარი ბრძოლაა. ვის ეკუთვნის ამ ბრძოლის თაოსნობა, არ ვიცით. ყოველ შემთხვევაში ერთი რამ ცხადია: ფალკენჰაინის ჯარის ბედი გალიციის ველსა და ტრანსილვანიის ალპებთან ერთსა და იმავე დროს სწყდება. ამისათვის უნდა ველოდეთ გენერალ კლევეს და ბოტმერის თავგანწირულ იერიშებს, მით უმეტეს, რომ მათი ჯარი გერმანელების ჯარით გააძლიერეს.

ფელდმარშალ ჰინდენბურგს იმედი აქვს იმისი, რომ მთავარ ასპარეზებზე მოქმედება ზლაზვნით სწარმოებს, რის გამოც ურიდად აცალიერებს უმოქმედო მიდამოებს, როგორც აღმოსავლეთ ისე დასავლეთის ასპარეზზე და ჯარები სხვაგან გადაჰყავს. ჰინდენბურგს გაუმართლდება თუ არა იმედები, ამას ეს შემოდგომავე დაგვანახვებს.

—

პ. შუმსკის აზრი: რაც გინდ უმაღლეს განვითარების საფეხურზედ იდგეს გერმანელების სამხედრო ტეხნიკა, ჯარის გადაყვან-გადმოყვანის საქმეს დროზე და შესაფერ პირობებში მაინც უმთავრესი მნიშვნელობა აქვს, რადგანაც ცოცხალი ძალა კი არ არის დამხმარე ტეხნიკისა, არამედ ტეხნიკა ცოცხალი ძალისა.

გერმანელებს უმოქმედო ასპარეზებიდან სწრაფად გადაჰყავთ ჯარის უდიდესი ნაწილი და ადგილობრივ სტოვებენ მცირე რაზმებს, რომლებიც ძლიერ გამაგრებულ სიმაგრეებიდან მოგერიებას აწარმოებენ.

„ტაიმს“-ის სამხედრო მიმომხილველის აზრით, ჰინდენბურგის მიზანია, რუსეთის ჯარის შეტევა შეაფერხოს ზამთრის პირამდე. ამ მიზნის მისახწევად ჰინდენბურგმა უნდა მოახერხოს ისეთი მოგერიებითი ბრძოლის წარმოება, რომ საგრძნობლად არსად დამარცხდეს. ზამთარში კი შეტევას განაახლებს საფრანგეთის ასპარეზზე, რუსეთის ასპარეზზე კი სუსხიანი ზამთრის ხელის შეწყობით ისევ მოგერიებით ბრძოლას განაგრძობს.

შესძლებს თუ არა ჰინდენბურგი ორი თვის განმავლობაში ასეთს მოგერიებითს ბრძოლას? შუმსკის აზრით ვერ შესძლებს.

—

„კავკაზ“-ის აზრი: დობრუჯში, დროებითი მიყუჩების შემდეგ, გერმანელებმა 6 ღვინობისთვეს კვლავ განაახლეს აქტიური მოქმედება, აამოქმედეს ზარბაზნები და შეტევა იწყეს... მაგრამ საეჭვოა, რომ რასმეს გახდენ, რადგანაც ვერ შესძლებენ ორთავე ასპარეზზე—ტრანსილვანიასა და დობრუჯში—ფართო შეტევა აწარმოვონ, რადგანაც საკმაო ჯარს ვერ გადაიყვანენ. დობრუჯში განახლებულ შეტევით გერმანელებს ჰსურთ ჩვენი ჯარი მიიზიდონ იქით. მეორეც მათ დაგვასწრეს შეტევა ჩერნოვოდი-კიუსტენჯის ხაზზე, სადაც საიერიშოდ მზად ვიყავით. არ უნდა გვაფიქრებდეს ის გარემოება, რომ მოპირდაპირემ აქ შემოტევა დაგვასწრო. ტრანსილვანიაში გერმანელებმა შესძლეს შეტევით ბრძოლის დაწყება. რუმინელების შტაბის ცნობით რუმინელებმა ტროტუსის ველში ხელთ იგდეს 12 ზარბაზანი და 600 ტყვე, მეორე რაზმს იმავე ველში 300 დაუტყვევებია და რამდენიმე ტყვიისმფრქვეველიც ხელთ უგდია. ეს ნიმუშებიც ადასტურებს, რომ რუმინელების ჯარს ბრძოლის უნარი ჯერ არ დაუკარგავს.

მინისტრ-პრეზიდ. შტრიუგკის მკვლელობა

(პეტრ. დეპ. სააგ.)

სტოკჰოლმი. ვენიდან იტყობინებიან: დღეს სადილობის დროს გაზეთის გამომცემელმა ადლერმა მოჰკლა მინისტრ-პრეზიდენტი შტრიუგკი.

მინისტრ-პრეზიდენტი შტრიუგკი სადილობდა „მეისლუნდადნის“ სასტუმროში, მერანში. მასთან მივიდა მწერალი ფრიდრიხ ადლერი და სამჯერ დაახალა რევოლვერი, შტრიუგკი იქვე გარდაიცვალა.

ადლერი ომის დაწყებამდე „დასფოლკ“-ის რედაქტორად იყო. ომის დაწყების მერე ეს გაზეთი შეჩერდა. მერე გამოსცა თვიური სოციალისტური ჟურნალი „დერ-კამპფ“-ი. იმავე დროს მღვივნად იყო გერმანეთის სოციალისტურ პარტიის, უმწვერვალეს რადიკალად ითვლებოდა, თუმცა ცოტა თანამოაზრენი ჰყავდა. შტრიუგკის მოკვლას ფანატიკოსობის შედეგად სთვლიან.

დამატებითი ცნობები გრაფ შტრიუგკის მკვლელობისა: დამსწრეთა სიტყვით შტრიუგკი და ბარონი ერენტალი ერთად სადილობდნენ სასტუმროში. ერენტალი, გარეშე საქმეთა მინისტრად ნამყოფ, აწ განსვენებულ ერენტალის ძმა არის. მათთან მოულოდნელად მისულა ადლერი, დეპუტატის შვილი, უსროლია შტრიუგკისათვის და იქვე მოუკლავს. ერთი ტყვია ერენტალს მოჰხვედრია ფეხში. დამსწრენი მისცვივნიან მკვლელს, მას თავისი ვინაობა დაუსახელებია და უთქვამს: მე ვიცი რაც ჩავიდინე და განმარტებას სასამართლოს წარუდგენო. იგი დაპნებდა, დააპატიმრეს და პოლიციაში წაიყვანეს. ამ მკვლელობამ მთელი ქალაქი ააფორიაქა.

უკანასკნელი დეპეშები

საბერძნეთის ჯარს ფეხალიაში აგროვებენ. ვენიზელოსმა საგარეო მინისტრი საიდუმლო დავალებით საფრანგეთში გაგზავნა. ათინაში მოკავშირეებსაგან ახალ ულტიმატუმის წარდგენას მოელიან. ამბობენ საბერძნეთის ჯარის შემცირებას მოითხოვენო. მეფე კონსტანტინე ბერლინში მიდიოდა. მისი მატარებელი მოკავშირეებმა დაატყვევეს.

—

რუსეთში ფრიად გავლენიანმა გაზეთმა „კოლოკოლმა“ შუამდგომლობა აღძრა სამინისტროს წინაშე სუფსიდიის დასანიშნავად; წინააღმდეგ შემთხვევაში სიძვირის გამო გაზეთი დაიკეტებაო. ამბობენ დახმარებას აღმოუჩენენო.

—

საფრანგეთის გაზეთი „მატენ“ რუმინეთის მდგომარეობას უნუგეშოდ და მეტად სამძიმოდ სთვლის. სხვა გაზეთების ცნობით გერმანეთის ჯარი სცდილობს დორნა-ვატრაში რუსეთის და რუმინელების კავშირი გაწყვიტოს.

—

ყოფილ საქართველოს ეგზარხოსს პეტროგრადის მიტროპოლიტს პიტირიმს ქართველი სამწყსო ძვირფას კვერთხს მიართმევს. პეტროგრადს ამ მოკლე ხანში საქართველოდან გაემგზავრება განსაკუთრებული დეპუტაცია, რომელიც პეტროგრადის ქართველ წარმომადგენლებთან ერთად მიტ. პიტირიმს წარუდგება და მიართმევს ხსენებულს საჩუქარს.

—

სამხედრო ავტორიტეტები ჰფიქრობენ, რომ შემოდგომის წყალდიდობა სამხრეთ-ჩრდილოეთის ფრონტზე მოქმედებას შეასუსტებსო. მაგრამ ამ ფრონტის მნიშვნელობა მაინც დიდი იქნება, რადგან აქ მოწინააღმდეგეს დიდძალი ჯარი გადმოუყვანია. ფრანგები იტყობინებიან აქ ჰყავთ სულ ცოტა გერმანელების 23, ავსტრიელების 35, ოსმალების ქვეითი და ათიც ცხენოსანი დივიზია. რიგა-კოველის ფრონტზე გერმანელებს 45 დივიზია მოუყვანიათ. დორნა-ვატრიდან სამხრეთით მოწინააღმდეგის იერიშს მოელიან.

—

ბრჟეზანის და გალიჩის მიდამოებს დიდს ყურადღებას აქცევენ. აქ მოწინააღმდეგე სცდილობს რუსის ჯარი გაარღვიოს ან და გვაიძულოს უკან დახევა.

—

ტრანსილვანიაში ფალკენჰაინს 150 ათასი მეომარი ჰყოლია.

ახალი ამბავი

სასახლეში.

◆ **მეფის ნაცვალს სადარბაზოდ** წარუდგა ბათომის ოლქის უფროსი გენ.-ლ. რომანოვსკი რომანკო მეუღლით, რომელნიც დარბაზობის შემდეგ საუზმეზე იყვნენ მიწვეულნი.

— მეფის ნაცვალს წარუდგა დეპუტაცია ზაქათალის ოლქიდან შემდეგ პირთაგან: ასლან ბეგ ყარდაშევი, მაჯიდ-ბეგ ქეისვრუსკი და აბდულლა ეფენდი კაბულოვი.

— მეფის ნაცვალს წარუდგა კავკ. სამკურნალო ნაწილის უფროსი ბ. ფებნერი.

მთავრობის დაწესებულებანი.

◆ **საპოლიციო კოოპერატივში** ღარიბებს უპაიოთ შეუძლიანთ ჩაწერა. განცხადება უნდა შეიტანონ მხოლოდ თბ. პოლიცმეისტერის გამგეობაში და ადგილობრივ უბნის საპოლიციო სამმართველოში.

◆ **თბილ ტანისამოსის შეგროვება** მხედართათვის დაიწყო კვირას. ტანისამოსის შეგროვება თბილისში გასტანს ერთ კვირას.

◆ **ლტოლვილთა რიცხვი.** საგუბერნიო და საადმინისტრაციო დაწესებულებათა ცნობებით ლტოლვილთა რიცხვი შემდეგია: თბ. გუბერნიაში 3484, მათ შორის სომეხი 3101, მაჰმადიანი 210, ქართველი 86, ბერძენი 54, რუსი 16, გერმანელი 13, აისორი 4. ბათომის ოლქში 6344.

◆ **ქისტების თარეში.** თბ. გუბერნატორს ატყობინებენ, რომ თუშეთში ს. ჰონთიოში 300—400 ქისტი თავს დასხმია თუშების საქონელს და 113 სული წაუსხამს გროზნოს ოლქში.

◆ **მკვლელობა.** პოლიციელი ბარათაშვილი, როგორც თბ. გუბერნატორს ატყობინებენ. მოუკლავთ ბორჯომში.

◆ **გაზეთის პასუხის გებაში მიცემა.** ექიმი მინასიანცი სასამართლოში იწვევს „თან. აზრ.“ რედაქციას ცილის წამებისათვის.

◆ **სამოსწავლო ოლქის უფროსმა** ნება დართო მოწაფეებს მიიღონ მონაწილეობა „თეთრეულობის კვირაში“, რომელიც თბილისში დაიწყო 10 ღვინობისთვეს.

ქართული დაწესებულებანი

◆ **ქართულ-კულტურის მოყ. საზ.** სეზონი განახლდა. გამგეობის კრება გაიმართა 5 ღვინობისთვეს. სხვათა შორის გადასწყდა ქართულ მწერლობის შესასწავლად სისტემატიურ კურსების მოწყობა. კურსებს მოაწყობს საზოგადოების თაოსნობით ჩვენ მწერლობაში კარგად ცნობილი ბ-ნი ვას. ბარნოვი. გამგეობამ უკვე აღძრა შესაფერი შუამდგომლობა სამოსწავლო ოლქის მზრუნველის წინაშე. კურსების მოწყობა განზრახულია ქართულ გიმნაზიაში. ფასები ერთობ ხელმისაწდომი იქნება.

◆ **ქართლ-კახეთის** თავად-აზნაურობის მიერ მიღებული ურთიერთ შორის დამხმარე კასის წესდების პროექტის განხილვა უკვე დასრულდა მეფის-ნაცვლის კანცელარიაში და ამ დღეებში დასამტკიცებლად წარედგინება მეფის-ნაცვალს დიდ მთავარს ნიკოლოზ ნიკოლოზის ძეს.

◆ **კვირას, 16-ს ოქტომბერს** დანიშნულია ქ. შ. წ. კ. გამავრცელებლის ავლაბრის ბიბლიოთეკა-სამკითხველოს საზოგადო კრება. განსახილველია შემდეგი საგნები: 1) განხილვა და დამტკიცება შემოსავალ-გასავლის 1915 წლის და 1916 წ. 2) მომავალი 1917 წლის ხარჯთ აღრიცხვა. 3) მიმდინარე საქმეები და 4) გამგეობის და სარევიზიო კომისიის და მათი კანდიდატების არჩევნები. გამგეობა სთხოვს ხსენებულს ბიბ.—სამ. წევრებს ვისაც არა აქვს გადახდილი 1916 წ. საწევრო გადასახადი გადაიხადონ აღნიშნულ დრომდე.

◆ **ამომრჩევლების არჩევა.** 8 ღვინობისთვეს ქართლ-კახეთის თავად აზნაურთა საგანგებო კრებამ, რომელსაც თავმჯდომარეობდა გუბერნიის მარშალი თავ. კ. ნ. აფხაზი, აირჩია თავ. კ. ნ. აფხაზი და თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილი მონაწილეობის მისაღებად პეტროგრადში სახელმწიფო საბჭოს წევრების არჩევნებში.

◆ **ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების** მთავარმა გამგეობამ ცნობა მიიღო ბათომის რაიონის განყოფილებისაგან, რომ მთავრობის რწმუნებულმა ბ-მა ვიშნევსკიმ უკვე დაამთავრა საზოგადოების სკოლების რევიზია.

◆ **ხელოვანთა საზოგადოების** წევრებს კრება ჰქონდათ 8 ამა თვეს და განიხილეს საკითხი ქართულ პანთეონის მოწყობის შესახებ. საბოლოო დასკვნის გამოტანა შემდეგი კრებისათვის გადაიდო.

◆ **მომხმარებელთა ამხანაგობამ** „მეურნემ“ ბლომად [illegible] ნიხრის კვალობაზე ჰყიდის. ამხანაგობა ამ დღეებში მოელის 5 ვაგონ კართოფილს. ამხანაგობის გამგეობამ გადასწყვიტა გამომცხვარი პურის გაყიდვა, რომელსაც ყოველ დღე საქალაქო ფურნიდან მიიღებს.

◆ **ფულის მიღება.** „ახალი კლუბის“ წლევანდელ საზოგადო კრებაზე გადასწყდა მიეცეს ერთდროულ დახმარების სახით ქართულ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას 1,200 მან. ეს ფული საზოგადოებამ უკვე ჩაიბარა გუშინ, 10 ღვინობისთვეს.

◆ **სკოლების რევიზია.** ბათომის რაიონული განყოფილება დეპეშით ატყობინებს ქ. საქვ. საზ. გამგეობას, რომ სახალხო სკოლების დირექტორს ვიშნევსკის დაუთვალიერებია საქვ. საზ. სკოლები. იგი კმაყოფილია სკოლების მშვენიერი მდგომარეობით.

◆ **ლტოლვილთა მოწყობა.** კავკ. ფრონტზე ლტოლვილთა მომწყობ მთავარ რწმუნებულის კანცელარიამ გამოუგზავნა ქ. საქველმოქ. საზ. მთავარ გამგეობას დებულება ლტოლვილთა მოწყობის შესახებ და წესდება ფულის ანგარიშის წარმოებისა ლტოლვილთა შესახებად.

◆ **ფულის ანგარიშის მოთხოვნა.** ქ. საქვ. საზ. გამგეობამ მოსთხოვა ახალციხისა და ბათომის განყოფილებას დაუყოვნებლივ მოაწოდონ ცნობანი აქედან გადმოგზავნილ ფულების შესახებ. ცნობა იმ შემთხვევაში გამოდგება დამადასტურებელ საბუთად, თუ ის იქნება შედგენილი რუსულად და ზედ ესმევა განყოფილების ბეჭედი. დოკუმენტები ქართულად ან თათრულად დაწერილი უნდა გადაითარგმნოს რუსულად და ისე გამოიგზავნოს. ხარჯთ-აღრიცხვა, რომელსაც ამ დღეებში მიიღებთ, გადამეტებით არის ნაანგარიშევი, ფაქტიურად უნდა ეცადოთ შეძლებისადაგვარად შემოკლებასა.

ქალაქის დაწესებულებანი.

◆ **სახლებში წყლის მილის გაყვანა.** ქალაქის გამგეობაში დიდძალი თხოვნებია სახლის პატრონებისა, რომელნიც წყლის მილის გაყვანას ეხვეწებოდნენ გამგეობას. ეს უკანასკნელი აქამდისინ თხოვნებს არ აკმაყოფილებდა იმ მიზეზის გამო, რომ საჭირო მასალა არ მოიპოვებაო. ეხლა გამგეობას გადაუწყვეტია მილით წყალი გაიყვანოს კერძო სახლებში, მაგრამ 70%-ის მომატებით წინანდელ ფასებთან შედარებით. მილები თითონ სახლის პატრონებმა უნდა შეიძინონ, დანარჩენ მასალას ქალაქის გამგეობის სახელოსნო დაამზადებს. ვისაც თხოვნები აქვთ წარდგენილი, ხელახლა უნდა მიაკითხონ გამგეობაში და სიტყვიერად გაუმეორონ თხოვნა.

◆ **ჯამაგირების მომატება.** დაჭრილ ჯარის კაცთა მომვლელ თბილისის ქალაქის კომიტეტს სხდომა ჰქონდა 8 ამა თვეს და დაადგინა ჯამაგირები მოუმატოს კომიტეტის მოსამსახურეთ. ვისაც 300 მანეთამდე ეძლევა თვიურად, მიემატება 20%, 400 მანეთამდე ვინც იღებულობს, მიემატება 15% და 600 მანეთამდე ვინც ღებულობს, იმას მიემატება 10%.

სასულიერო უწყებაში.

◆ **ყოვლ. სამღ. ანტონი ეპ. გორისა** ინიშნება გდოვის ეპისკოპოსად პეტროგრადის ეპარქიისა ქორ-ეპისკოპოსად.

სასწავლებლებში.

◆ **ქართულ გიმნაზიაში.** ღვინობისთვის 8-ს ქართული გიმნაზია დაათვალიერა სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა ნ. ფ. რუდოლფმა. მასთან ერთად გიმნაზიაში ბძანდებოდა გიმნაზიის გამგე კომიტეტის თავმჯდომარე, თავად-აზნაურთა მარშალი თავ. კ. ნ. აფხაზი.

◆ **მასწავლებლის დათხოვნა.** თბილისის მეორე კომერციულ სასწავლებლის ბუღალტერიის მასწავლებელი გარეგ ნ. ტერ-დავითიანცი, რომელსაც ბოლო დროს მუდმივ უთანხმოება ჰქონდა სასწავლებლის დირექტორ ნ. დ. მახათაძესთან და მასწავლებელთა კორპორაციასთან, მთავრობის განკარგულებით სასწავლებლიდან დათხოვნილ იქმნა თავის სურვილის წინააღმდეგ (მესამე პუნქტის ძალით).

◆ **სასულიერო სემინარიაში** კარგა ხანია, რაც ქალაქთა კავშირის ლაზარეთია მოთავსებული და ამის გამო სემინარიის მოწაფენი ქართულ გიმნაზიის შენობაში სწავლობენ საღამოობით. ასეთი მდგომარეობა სწავლის შეფერხებად მიუჩნევია საქართველოს ეგზარხოსს პლატონს და შუამდგომლობა აღუძრავს ლაზარეთი გადატანილ იქმნას სემინარიის შენობიდან.

ეროვნული

როგორც ამბობენ, ეგზარხოსის სურვილი შესრულებულ იქმნება და სემინარიის შენობაში ამ თვის დამლევს განახლდება სწავლა.

◆ **მეექვსე გიმნაზიის** საპედაგოგიო საბჭოს გადაუწყვეტია სამეცნიერო პოპულიარული კითხვები გამართოს გიმნაზიაში. პირველი ლექცია წაიკითხა 9 ამა თვეს კ. ა. გორბაჩოვმა ფუტკრის ცხოვრებაზე.

სომეხთა შორის.

◆ **სომეხთა ცენტრალ კომიტეტის** სასურსათო საწყობები ამ ჟამად სხვა და სხვა ადგილას დახმარებას აძლევს სურსათ-სანოვაგით 87,539 გადმოხვეწილ სომეხს. ყველაზე მეტს ეხმარება ერევნის რაიონის საწყობი, რომლიდგანაც სარგებლობს 30.272 კაცი, მეორე ადგილი უკავია გუმბრის საწყობს, რომელიც 15.000 კაცს ასაზრდოებს. ისეთი საწყობი არ არის, რომელიც 1300 კაცზე ნაკლებს ასაზრდოებდეს.

◆ **სომეხთა საქველმოქმედო საზოგადოებამ** მიწერილობა დაუგზავნა თავისს რწმუნებულებს, რომ გადმოხვეწილ სომეხთა ბავშვებისათვის სკოლები მოაწყონ: განჯის გუბერნიაში 15, ყაზის მაზრაში 14, ახალ ბაიაზეთის რაიონში 26, გუმბრის რაიონში 20, ყაგიზმანისაში 3, იღდირისაში 5 და ვანისაში 3. ბევრი ამ სკოლათაგანი უკვე მოწყობილია.

◆ **ფულების გადადება.** გადმოხვეწილთა საქმეების ხელმძღვანელს გენერალ თამამშევს განკარგულება გაუცია, რომ შემოხიზნულ სომეხთა ბავშვების სკოლების შესანახად წლის ბოლომდე ებლავე გადაიდეს 28 000 მანეთი.

სხვა და სხვა ამბები.

◆ **მუშათა არტელი.** ქალაქის სასაკლაოზე მომუშავეთ განუზრახავთ შეადგინონ არტელი, რომლის ხელშიაც უნდა გადიოდეს ყველა დასაკლავი საქონელი. ამ არტელთან ექნება ქალაქის გამგეობას, როგორც სასაკლაოს პატრონს, საქმე, ხოლო გამგეობა თავის მხრივ პასუხისმგებელი იქნება მეყასბეთა წინაშე, რომელთაც დასაკლავი საქონელი მიჰყავთ სასაკლაოზე. ყასბებს უფლება აღარ ექნებათ თავიანთი მუშები იყოლიონ სასაკლაოზე, ისეთი მუშები, რომელნიც საქონელს ჰკლავენ, ატყავებენ და ასოებათ სჭრიან. არტელში ჯერ-ჯერობით იქნება 60 კაცი, რომელი რიცხვიც თანდათან გაიზდება მოთხოვნილების კვალობაზე. სხვილ-ფეხა საქონლის დაკვლა-გატყავებაში არტელი აიღებს 75 კაპ., ხოლო წვრილფეხა საქონელში 8 კაპიკს.

◆ **ექ. ივ. გომართელი** მიწვეულ იქმნა ქართლ-კახეთის თავად-აზნაურთა საკრებულოსთან არსებულ საერობო თათბირის წევრად. მ.სვე სთხოვეს შედგენა პოპულიარულ წიგნაკისა ერობის შესახებ ხალხში დასარიგებლად.

◆ **კარტოფილის ფასები.** თბილისში მიღებულ ცნობების მიხედვით, ფუთი კარტოფილი ფასობს: კამარლუში 2 მან. 40 კაპ., ვაგარშაპატში 3 მან., ყარაკლისში 2 მან., ქვემო ახტაში 2 მან., ქარავან-სარაიში 1 მან., 80 კაპ., განჯის რაიონში 1 მან. 80 კაპ.

◆ **რუევსკის ავადმყოფობა.** თბილისში მიღებულ ცნობების მიხედვით, სახელმწიფო სათათბიროს საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის ამხანაგი ბ-ნი რუევსკი, რომელმაც ამას წინად თბილისში მოხსენება წაიკითხა საჯაროდ საერობო რეფორმების შესახებ ამიერ კავკასიაში, მძიმედ ავად გამხდარა საოფლის ხურვებით.

◆ **საოფლის გავრცელება.** უკანასკნელ ხანებში თბილისში მეტად გავრცელებულა საოფლე. ქალაქის საავადმყოფოში ამ ჟამად 214 საოფლიანი იმყოფება.

◆ **ჯარში გაწვეულთა ოჯახებზე** მზრუნველ საუბნო მზრუნველების კრება ხვალ 10 ღვინობისთვესაა დანიშნული. წითელ და თეთრ ბილეთებიანთა გაწვევის შემდეგ ქალაქის კომიტეტს აუარებელი თხოვნები მოსდის თვიურ დახმარების აღმოჩენის შესახებ. დახმარების მიცემას 10 ღვინობისთვიდან იწყებს კომიტეტი.

◆ **მარშლის ავადმყოფობა.** ბორჩალის მაზრის თავად-აზნაურობის წინამძღოლი თ-დი მ. ა. სუმბათაშვილი ერთ თვეზე მეტია, რაც ავად არის. ავადმყოფს რამდენიმე ექიმი სწამლობს. ამ ჟამად ავადმყოფს ცოტათი უკეთესობა ეტყობა.

◆ **ყაჩაღებთან ბრძოლა.** ამ დღეებში თბილისის გუბერნატორის მიერ მოწვეულ იქნება თბილისში საგანგებო თათბირი ყაჩაღების წინააღმდეგ საჭირო ზომების მიღებაზე მოსალაპარაკებლად. როგორც ამბობენ, ასეთივე თათბირები გაიმართება თბილისის გუბერნიის სხვა და სხვა კუთხეებშიაც.

◆ **სახალხო სახლის გამგეობამ** თვის უკანასკნელ კრებაზე განაწესა კვირა დღეების დილები. კვირის დილა დაეთმო სახალხო უნივერსიტეტისა და სახალხო კითხვათა მომწყობ სექციებს, ხოლო მეოთხე კვირა ქალაქის გამგეობის განკარგულებაში დარჩა. ამავე კრებაზე განხილულ იქმნა ხარჯთ-აღრიცხვა სახალხო სახლის შესანახად. ხარჯთ-აღრიცხვა ნავარაუდევია 34 ათას მანეთში. სახალხო თეატრის ადგილების ფასებიც შემცირებულ იქმნა. ჩვეულებრივ წარმოდგენებზე არა უმეტეს 1 მანეთისა დაწესდა ხოლო წარმოდგენებზე არა უმეტეს 50 კ. სექციებს წინადადება მიეცა არა უგვიანეს 15 გიორგობისთვისა წარმოადგინონ რეპერტუარები წარმოდგენებისა.

◆ **ქართველ მოღვაწეთა აგარაკის** ასაშენებელ თანხის გასაძლიერებლად დღემდე შემოსულია 6.650 მან. 50 კ.

◆ **ქურდობა.** 6 ამა თვეს, ღამით, ვიღაც ბოროტ კაცს გაუქურდავს წერა-კითხვის საზოგადოების სამკითხველო წყნეთის ქუჩაზე. სამკითხველოს კარები გაუღია, უჯრიდან ფულები წაუღია და გასვლისას ისევ დაუკეტია კარები.

◆ **ანტრაციტი.** „ნიკოლენკოს" ქარხნის რწმუნებულმა ბ. გერმანოვიჩმა განუცხადა მეფის ნაცვლის კანცელარიას, რომ იგი მოაწვდის 10-ათას ფუთს ანტრაციტს. ფუთი ანტრაციტი დაჯდება 52—53 კ. წინად კი ღირდა 90 კაპ.

◆ **ფქვილის მოტანა.** „ნიკოლენკოს" ქარხნის რწმუნებულმა ბ. გერმანოვიჩმა ჩამოიტანა თბილისში 30 ვაგონი ფქვილი ქალაქისთვის. ესევე რწმუნებული ჰპირდება ქალაქს კარტოფილის მოტანას ფუთს 1 მ. 10 კ. მანვე განაცხადა, რომ ამ ფირმის წისქვილი უკვე მოწესრიგდა, ასე რომ ფქვილის მოწვდის საქმე ამიერიდან ნორმალურ პირობებში იწარმოებსო.

◆ **ქალაქის გამგეობის წევრი** მ. ჯაბარი ბაქოდან თბილისს დაბრუნდა.

◆ **ღვინით ვაჭრობა** ჩვეულებრივის წესით განახლდა გუშინ, 10 ამა თვეს, რადგან ჯარში გაწვეული მოლაშქრენი უკვე დაბინავეს.

ს. ვეჯინი.

8 ღვინობისთვეს გაიტაცეს გველო ისაევის (ეშმაკიშვილის) შვილი 15 წლისა, იგი იყო სოფელ ვეჯინში თავის მამის ზვარში. ჯერ არ იციან საით წაიყვანეს.

ქუთაისი.

ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლმა თ-დ დავ. ოტ. ნიჟარაძემ წინადადება შეიტანა თავად-აზნაურთა 5 ღვინობისთვის კრებაზე ქუთაისის სააზნაურო გიმნაზიის პარალელ კლასების გამოყოფა და ქართულ კერძო საკომერციო სასწავლებლის დაარსების შესახებ. თ-დი ნიჟარაძე საჭიროდ სცნობს ჯერ-ჯერობით მხოლოდ უმცროსი კლასების გამოყოფას და შემდეგ მუდამ წელს თითო კლასის მომატებას.

წინადადება კრებამ 62 ხმით, წინააღმდეგ სამისა მიიღო.

— შაბათს, 8 ღვინობისთვეს, გაზ. „კუტაისკია ვესტი" არ გამოსულა. მიზეზი შემდეგია: გაზეთის ცენზურა ჟანდარმის აფიცრისთვის გადაუციათ; ცენზორს წინადადება მიუცია რედაქტორისათვის, რათა დასაბეჭდი მასალები წინდაწინვე წარუდგინოს მას და შემდეგ კიდევ მეორედ—უკვე დაბეჭდილი გვერდები. რადგანაც ეს პირობები ძალიან აგვიანებს გაზეთის გამოცემას, გაზეთის რედაქტორს გადაუწყვეტია დროებით შესწყვიტოს გაზეთის გამოცემა.

— ქუთაისში ამ ორ უკანასკნელ კვირაში ხოლერამ ფეხი მკვიდრად მოიკიდა. დღე ისე არ გაივლის, რომ ერთი ან ორი ხოლერიანი არ მიიყვანონ ქალაქის საავადმყოფოში.

— სააზნაურო გიმნაზიაში ენკენისთვიდან უმცროს კლასებიდან ზოგი საგნების სწავლება ქართულად სწარმოებს. ბავშვები უფრო ხალისით ეკიდებიან სწავლას.

— ადგილობრივს რეალურ სასწავლებელში ამ ჟამად ქართული ენის მასწავლებელი არ არის; წინანდელმა თავი გაანება მასწავლებლობას, ხოლო ახალს არ იწვევენ.

დ. ხონი.

— ყოველ პარასკეობით აქ ბაზრობა იციან. ბაზრობის შემდეგ ითვრებიან და ერთი მეორეს ცხვირპირს უმტვრევენ. ამ გარემოებას ბოქაული დიდ ყურადღებას უნდა აქცევდეს, ვინაიდან ისეთი ბაზრობა არ იქნება, რომ ერთი-მეორის ცხვირ-პირის მტვრევა არ მოხდეს. აგრეთვე აქ ჩამოდიან პრაპორჩიკები. ისინი ყოველ სისიძაგლეს ჩადიან, არ ერიდებიან ბაზარში რევოლვერების სროლას და ბაღში ქალებზე უზრდელ სიტყვებით გამასპინძლებას. დროა აილაგმოს მათი ასეთი თავგასულობა.

თეატრის სიკვდილი

მოსალოდნელი მოხდა: ქართული თეატრი ფაქტიურად გარდაიცვალა. იმ საზოგადო გულგრილობას, რასაც ვხედავდით ქართულ დრამატიულ საზოგადოების მხრივ, დიახაც, რომ ასეთი მწვავე ბოლო უნდა მოჰყოლოდა. რაც თეატრის შენობა დაიწვა, საზოგადოება იგი ნამდვილ მესაფლავეთა როლს კისრულობს, დღითი დღე ინდიფერენტიზმი, საზოგადო გულგრილობა იმ დროს, როდესაც მდგომარეობა მოითხოვდა მეტს სიმხნევეს, მეტს გამჭრიახობას, მათ გულზე ხელის დაკრეფის მეტი არა გააკეთეს რა. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი მელპომენეს მდგომარეობა ნივთიერ მხრით ასე ხელშეწყობილი არა ყოფილა, მესაფლავენი თითქოს განგებ ხელის კვრით უფსკრულისკენ მიაქანებდნენ მის ეტლს და აჰა, კიდეც თვალით ვუმზერთ საბედისწერო მის დამსხვრევას.

დრამატიული საზოგადოების დიდი საქმიანობა ჩვენი დაქვრივებული მელპომენეს აღსამაღლებლად მხოლოდ „სხვათა შორის გამოიხატა. ამ „სხვათაშორისობას" არ გასცილებია არც ერთი წევრი ამ საზოგადოებისა, ინიციატივა ჩამკვდარნი ეს უბადლო მესაფლავენი საქმიანობას ერთად ერთ მის ჭავჭავაძესთან საპოლემიკო წერილების ბეჭვდაში ჰხედავდნენ, ეს იყო მათი თავი და ბოლო, ის იყო მათი უდიდესი გამჭრიახობა, ეს იყო მათი საქმიანობის დაგვირგვინება!

ლიტონ სიტყვად რომ არ დარჩეს ჩემი ნათქვამი, საკმარისია უბრალო, მეტად მარტივი კითხვები დავსვა, რაზეც მე მგონი ნათელს პასუხს ვერ გამცემენ მესაფლავენი: ა) რას ჰლოობდა საზოგადოება იგი სეზონის დასაწყებად? ბ) რა ღონე იღონა, რომ თეატრი ეშოვნა? გ) რატომ მოხდა, რომ ქართველ ადამიანის ნაღვაწით საქართველოს ცენტრში—დედაქალაქში, უცხო ელემენტები გაცილებით მეტს ჰსარგებლობენ და ჩვენს ხელოვანთ კი აპანღურებენ? დიდი ბოდიში ამ სიტყვებისათვის, მაგრამ რა ვქნა, რომ პანღურისა და შეურაცხყოფის მეტი არა ეთქმის რა, დღევანდელს შექმნილს მდგომარეობას, როდესაც სახალხო თეატრის კარამდინ არც კი უშვებენ ნაყე-ნაყედ მისულს საზოგადოების წევრთ! შემდეგ, საინტერესოა ვიცოდეთ, რა და როგორი საშუალება მოიხმარეს საარტისტო ანუ სახაზინო თეატრის შენობის ასაღებად სულ მთლად თუ არა, კვირაში ერთხელ მაინც? ხუთშაბათი დღე, ეს საუკეთესო დღე თეატრისთვის, ჩვენმა მეზობლებმა კარგად აიღეს, მოახერხეს. რატომ ჩვენს დრამატიულ საზოგადოებას არ შეეძლო ერთი ასეთი დღე მაინც ჩაეგდო ხელში... დაგვიანდა? ითხოვა? ვერას გახდა? რატომ ვერას გახდა? რა უშლიდა ხელს? ითხოვეს დროზე კი? ვინ მივიდნენ? ვისი სახელით? ჰყავდათ ვინმე საპატიო წევრი ქართველი ერის მოჭირნახულისა, რომელსაც შეეძლებოდა ჩვენი ერის პატივითა და სახელით ელაპარაკნა და დირექცია დაეჯერებინა ერთი დღის გასამეტებლად? არა, ამ კითხვებზე არავითარი პასუხი არა აქვს საზოგადოებას. თუ რამ მანამზგავსი მოხდებოდა, უეჭველია, მოხდებოდა თაღარიახნად, ქართველურად, **სხვათაშორის!**

თეატრის დაქირავება კი არა, დასი რა არის, იმის შედგენაც კი დროზე ვერ მოახერხეს, აღარას ვიტყვით რეპერტუარზე. ასეთი სავაგლახო დღე არასოდეს არ გასთენებია ჩვენს თეატრს. საზოგადოებამ თამამად შესძლო მისი დასაფლავება, შესძლო იმიტომ, რომ მთელი მასი არსებობა ამ დიდი იარლიყით მხოლოდ სახელით იყო, და ბოლოს, შესძლო იმიტომ, რომ ამას მოითხოვდა მისი პირადი ანგარიში, დრო „ცუდად" არ დაეკარგა, რაღაცა „თეატრის" საძებნელად. თავის სამართლებელი საბუთი კი დიდია. „მიხეილ ჭავჭავაძე!.. კლუბი!.." საცაა სულ ეს დასახრჩობი „ჭავჭავაძე", სულ ეს ყოვლად გათახსირებული, ეროვნულ გრძნობათა შემბღალავი ქართული კლუბი! ამაზე იქით, ოღონდაც რომ ველარ წავა ცინიზმი, ცინიზმი თავაულებელი უსაქმური ადამიანი?!

მე აღარას ვიტყვი იმ შედეგებზე, რაც მოჰყვა მათს უმოქმედობას. ცხადია, ქართველი მსახიობი თავის ნიჭს უნებურად მეცირკეობაზე გადაახურდავებდა, თუ კი გასაქანს გზას ვერ იპოვნიდა. და აკი კიდევაც ასე მოხდა: თვით ისინიც კი, ვისაც ახალგაზრდობა და ოდნავი ნიჭი ხელს უწყობდა—ამ ხუთიოდე წლის წინ, გაფურჩქვნის ნაცვლად დაქვეითდნენ... მათი გამოსვლა აღარც სასურველია, არც თუ მოსასმენ-დასანახი! სიტყვით, ქართულმა დრამატიულმა საზოგადოებამ ჩინებულად შეასრულა თავისი როლი: მან ჩვენი თეატრი დაასაფლავა... დაგვრჩენია იმედად მხოლოდ ის, რომ თვით ეს საზოგადოებაც მალე გარდაიცვალოს: რომი უნდა მოკვდეს, რომ რომმა გაიმარჯვოს! ამბობდნენ დაცემის დროს რომაელები. ჩვენი თეატრი დასამარდა. დრამატიული საზოგადოებაც უნდა მოკვდეს, რომ თეატრმა და ახალგაზრდობამ გაიმარჯვოს.

ქართლელი.

† გენ. დუმბაძე

იალტის ყოფილ მართველს, განსვენებულ გენერალ დუმბაძეს, თითქმის ყველა რუსულმა გაზეთებმა ნეკროლოგები უძღვნეს, რომელშიაც ერთხმად აღიარებენ, რომ განსაკუთრებულ სისასტიკესთან და უცნაურ ახირებულობასთან, დუმბაძე იშვიათი პატიოსნების კაცი იყო და უდრეკი თავის მოვალეობის წინაშე. აი სხვათა შორის რასა სწერს პეტროგრადული გაზ. „რეჩი":

„მძიმე და ხანგრძლივი ტანჯვის შემდეგ იალტაში გარდაიცვალა გენერალ-მაიორი ივანე ანტონის ძე დუმბაძე. მძიმე ავადმყოფობამ აიძულა იგი გადამდგარიყო სამსახურიდან ჯერ კიდევ ამ სამი თვის წინად და იმ ხანებში ვცადეთ, რამდენადაც შესაძლებელი იყო დაგვეხასიათებინა ეს კაცი, რომელიც შეიძლება უდიდეს როლს არ თამაშობდა, მაგრამ მის გარშემო დიდი ხმაურობა იყო და ძველი რუსეთის თვალსაჩინო მოღვაწედ ითვლებოდა.

ეხლა, როდესაც ჯერ კიდევ არ გაცივებულა საფლავი იმ კაცისა, რომლის მოქმედება ხშირად სასტიკად მოგვიხსენებია, შეუძლებელია, რომ ავტეხოთ ძველი კამათი.

უნდა დრომ გაიაროს, რომ შესაძლებელი იქმნეს ყველა მასალის გამოქვეყნება და მიუდგომელი დახასიათება დუმბაძისა, რომლის სახელი სავსებით ეკავშირდა ძველი რუსეთის წესწყობილების ახალში გარდასვლის ისტორიას. ეხლა კი მხოლოდ შემდეგი შეგვიძლია ვთქვათ: ყველა თავის თანამოაზრეთა და პატრიოტული რუსეთის დამცველთა შორის, ი. ა. დუმბაძე იყო იშვიათი უანგარო და პირადათ პატიოსანი. იგი მოქმედებდა პირადი რწმენით და, ყოველ შემთხვევაში, არა ანგარებისათვის და მარტო ამისათვის მომავალი მიუდგომელი ისტორიკოსი მრავალს აპატიებს აწ გარდაცვალებულ აბსოლიუტიზმის რომანტიკოსს".

სახალხო უნივერსიტეტთა საზოგადოების წლიური კრება

9 ღვინობისთვე.

კრება გაიხსნა სახალხო სახლის დარბაზში დღის 12 საათზე. კრების თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა ი. პ. ნაკაშიძე, ხოლო მდივნად მ. თ. სუხმანიოვი. საზოგადოების 1915 წლის მოქმედებისა და საფინანსო ანგარიში დაბეჭდილი იყო წიგნაკებად და წევრები ადრევე გასცნობოდნენ მას. ამიტომ კრებაზე წაკითხულ იქმნა მხოლოდ სარევიზიო კომისიის მოხსენება ამ ანგარიშის შესახებ.

უმთავრესი მუხლები ანგარიშისა ასეთია: 1) საანგარიშო წლის განმავლობაში გამგეობას 34-ჯერ ჰქონია სხდომა. გამგეობის ზოგიერთი წევრები ნაკლებად ესწრებოდნენ სხდომებს. 2) გამგეობასთან არსებობდნენ სექციები: რუსებისა, ქართველებისა, სომხებისა, ოსებისა და წლის ბოლოს შესდგა მუსულმანების სექციაც. 3) სექციებმა მოაწყვეს წერა-კითხვის კურსები დიდებისათვის. შედარებით უფრო ნაყოფიერად უმუშავნია ქართულ კურსებს: ვერაზე გამართულ კურსებზე ჩაწერილა 40 კაცი, ხოლო ნაძალადევში 50. შუათანა რიცხვით თითო გაკვეთილს ესწრებოდა 15—25 კაცი. ასწავლიდნენ ქართულს, რუსულს, არითმეთიკას და სხვ. კურსებზე მოსიარულენი იყვნენ 14-დან 35 წლამდის. გარდა ერთისა ყველანი მამაკაცები იყვნენ. მოსიარულეთა რიცხვში ერივნენ სომხები და მუსულმანებიც. მეორე ადგილი უჭირავს რუსების სექციის კურსებს, რომელიც ვერაზე მუშაობდა. ამ კურსებზე ჩაწერილა 17 სული, მაგრამ პირველ ხანებში სწავლას ესწრებოდა მხოლოდ 6—8 კაცი, ხოლო წლის ბოლოს მოსიარულეთა რიცხვი 18-დე ავიდა. ამ კურსებზე მოსიარულენი მომეტებულ ნაწილად ქალები იყვნენ (ენფიაჯიანცის თამბაქოს ქარხანაში მომუშავენი), 15-დან 35 წლამდის. მოსწავლეთა შორის უმეტესობა რუსები იყვნენ, შემდეგ ქართველები, შემდეგ სომხები და 1 მუსულმანი. ყველაზე უფრო სუსტი ყოფილა სომხების კურსები, რომელიც დაარსდა 1914 წლის დამლევს და უმუშავნია მხოლოდ 1915 წლის მარტამდის, მაგრამ ამ ხნის განმავლობაშიაც ერთობ ცოტა მოსწავლენი ყოფილან. ოსებისა და მუსულმანების სექციებს სულ არ ჰქონიათ კურსები. 4) მთელი საანგარიშო წლის განმავლობაში საზოგადო განათლების ხასიათის კურსები ჰქონდა მოწყობილი მხოლოდ რუსულ და ქართულ სექციებს. კურსებზე ლექციებს კითხულობდნენ ყოველ კვირაში 1—2-ჯერ. რუსულ კურსებზე საკოოპერაციო შინაარსის ლექცია წაუკითხავთ სულ 5 პოლიტიკურ ეკონომიისა 13 და რუსეთის ისტორიისა 12. მსმენელთა რაოდენობა უდრიდა 15—35 კაცს. ქართულ სექციის კურსებზე. მომეტებულ ნაწილად კითხულობდნენ ლექციებს საზოგადო ისტორიიდან (17 ჯერ) და ბუნების მეტყველებიდან (3 ჯერ). შუათანა რიცხვით ისტორიის ლექციას ესწრებოდა 15 კაცი, ხოლო ბუნების მეტყველებისას 30 და მეტი. 5) ლიტერატურულ შინაარსის დილა რამდენიმეჯერ გამართა გამგეობამ: ა) 15 აპრილს მოაწყო სახალხო სახლში მგოსან აკაკი წერეთლის ხსოვნის აღსანიშნავად, დილამ კარგად ჩაიარა; ბ) 25 მარტს ნაძალადევის თეატრში გამართულ იქმნა სინემატოგრაფი მხოლოდ ბავშვებისათვის. შესვლა ღირდა შაური. თეატრი აივსო პატარა მაყურებლებით; გ) 18 იანვარს სახალხო სახლში გაიმართა ინტერნაციონალური დილა ნაციონალ სიმღერებით, მუსიკით და თამაშით; აგეთივე დილა გაიმართა 7 თიბათვეს და 8 გიორგობისთვეს; დ) 6 ქრისტეშობისთვეს ნაძალადევის თეატრში გაიმართა საბავშო წარმოდგენა და თამაშობდნენ მხოლოდ ბავშვები. 600-მდე მაყურებელი დაესწრო.

ფინანსიური ანგარიში საზოგადოებისა ერთობ მარტივია. მთელი შემოსავალი წინა წლის ნაშთიანა უდრის 2,642 მან. 55 კაპ., ხოლო გასავალი 2,069 მან. 80 კაპ.; მცირე შემოსავლიდან კიდევ გადაუნარჩუნებიათ მიმდინარე წლის 1 იანვრისათვის 572 მ. 75 კაპ.

კრებამ მთელი ანგარიში უცვლელად და უკამათოდ დაამტკიცა. აგრეთვე უკამათოდ იქმნა დამტკიცებული მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვა, რომლითაც შემოსავალი ნავარაუდევია 4,591 მან. 75 კაპ., ხოლო გასავალი 3,815 მან.

კრებამ აგრეთვე მოისმინა და მხედველობაში მიიღო გამგეობის წევრის ბ-ნ კუზნეცოვის მოხსენება შესახებ საზოგადოების მოქმედებისა მიმდინარე წლის 1 იანვრიდან ვიდრე 1 თიბათვემდე.

დასასრულს მოხდა არჩევნები. გამგეობის წევრებად აირჩიეს: პლ. კიკალიშვილი, ბ.ბ. მიკირტუმოვი, თ. მ. გრაჩევი და მ. ა. კუზნეცოვა; მათ კანდიდატებად—ბ-ნი ხუხუნაშვილი, ერზიკიანცი და ქ-ნი ბრუსილოვსკაია. სარევიზიო კომისიის წევრებად არჩეულ იქმნენ: ბ. ი. ამირაღოვი, ა. ვ. ლასკუტოვი, ნ. ლ. თარხანოვი, ე. ი. პერელმანი და ლ. ა. ალექსანიანი.

კრება დაიშალა ნაშუადღევის 3 საათ. 30 წუთ.

ახალი მელანი

თბილისში, ამ ორი კვირის განმავლობაში შესდგა ქართველების ამხანაგობა, რომელმაც კოტე ონიკაშვილის მიერ გამოგონილ მელნის დასამუშავებლად დაარსა მოსკოვის ქუჩაზე № 16 მელნის ფაბრიკა „ალაროდია". ამხანაგობაში შედიან ად. ზ. ბერელაშვილი, ნიკ. მიხ. შენგელია, ალ. ს. ლორთქიფანიძე, ალ. ვას. ნადირაშვილი და სხვ. კოტე ონიკაშვილის მელანი მრავალ მხრივ გამოკვლევის შემდეგ საუკეთესო თვისების გამოდგა. საწერი მელანი ასლისათვის (კოპიროვკისათვის) ძალიან კარგია. ამხანაგობა ამ ახალ საქმეს ძალიან სერიოზულად უყურებს და გადაწყვეტილიც აქვს ყოველ გვარად გააფართოვოს თავისი მოქმედება. მელნის ლაბორატორიაში სამუშაოდ ამხანაგობამ მოიწვია გერმანიის ქიმიურ ნაწილზე სწავლა დამთავრებული ბ-ნი მ. შალამბერიძე. ამასთანავე შალამბერიძეს ამხანაგობა გაჰგზავნის, როცა კი საჭიროება მოითხოვს, საზღვარგარედ, რათა ადგილობრივ გაეცნოს მელნის და აგრეთვე ფერად-ფერადის საღებავების ინდუსტრიის ტეხნიკას. თვით ამხანაგობის წევრები რამდენადაც ჩვენ მათ ვიცნობთ, საქმეს მუყაითად ეკიდებიან და მიზანსაც მიაღწევენ. საჭიროა ყოველი ქართველი, რომელიც ჰხედავს მრეწველობაში საქართველოს წინსვლას და ხსნას, ყოველგვარს დახმარებას აღმოუჩენდეს ამხანაგობას. ვუსურვებთ დღეგრძელობას და ამ ახალ საქმეში გამარჯვებას.

ქართ. საქველმოქმედო საზოგადოება 1915 წ.

(მთავარი გამგეობის ანგარიშიდან)

(გაგრძელება)

ომისაგან დაზარალებულნი.

რაც შეეხება საერთოთ ომისაგან დაზარალებულთ და გაჭირვებულთ, მათი რიცხვი პირდაპირ განუზომელია. სარეგისტრაციო მუშაობით დიდძალი მასალა მოგროვდა მათი მდგომარეობის შესახებ. რეგისტრატორები მუშაობენ ახლაც მრავალ კუთხეში. მათ სახელმძღვანელოდ აქვსთ გაჭირვებულთა შემდეგი კატეგორიები: ა) დაჭრილ მეომართა გაჭირვებული ოჯახები. ბ) დასახიჩრებულთა გაჭირვებული ოჯახები. გ) სათადარიგო და ნამდვილ ჯარის კაცთა გაჭირვებული ოჯახები. დ) ტყვეთ წაყვანილთა გაჭირვებული ოჯახები. ე) ომის სხვა და სხვა მიზეზით (რეკვიზიცია და სხვა) დაზარალებული ოჯახები. ვ) ომში დახოცილ ჯარის კაცთა გაჭირვებული ოჯახები. ზ) ჯარის კაცთა შვილების მდგომარეობა. თ) ვინ ეხმარება და როგორ ომისაგან დაზარალებულთ. ი) ომის მიზეზით ლტოლვილნი ანუ გადმოხვეწილნი; კ) დაბრუნებულნი გადმოხვეწილნი (ვინც გადაიხვეწა პირველად და შემდეგ ისევ დაუბრუნდა თავის კარმიდამოს) და სხვ.

მნიშვნელოვან ცენტრებში სარეგისტრაციო პუნქტებია გახსნილი. აქ გროვდება მასალა, იწერებიან დაზარალებულნი. სიები ეგზავნება მთავარ გამგეობას, რომელიც სიების და გაჭირვების მიხედვით აღძრავს შუამდგომლობას მეომართა ოჯახების დამხმარე კავკასიის კომიტეტის და სხვა დაწესებულებათა წინაშე თანხების გამოსათხოვად. საკუთარი თანხიდან საზოგადოება ეხმარება უკიდურესად გაჭირვებულთ. ყველას დასახმარებლათ მილიონებია საჭირო.

ქართველ მეომართა ოჯახების დასახმარებლად ქ. საქ. საზოგადოებამ 5,000 მანეთი მიიღო პეტროგრადის ქართველთა საზოგადოებისაგან. ამ საზოგადოებას მფარველობს მ. ი. უ. ქსენია ალექსანდრეს ასული და თავმჯდომარეობს კნ. სალომე ნიკოლოზის ასული ობოლენსკისა.

მეფის ნაცვლის კანცელარიიდან საზოგადოებამ მიიღო 25 ათასი მ. ლტოლვილთა დასახმარებლად. აგრედვე მიიღო 60 ათასი მან. ლტოლვილთა ბავშვების და ობლების თავშესაფართა მოსაწყობად შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო საბჭოსაგან. როგორც ვთქვით ლტოლვილებს დახმარება ეძლევათ. რაც შეეხება თავშესაფართ, მათ გასახსნელად და მოსაწყობად მიღებულია ზომები.

მ. ი. უ. დ. მ. ტატიანა ნიკოლოზის ასულის კომიტეტის დახმარება

ჩვენ საზოგადოებას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს და უხვად ეხმარება მ. ი. უ. დ. მ. ტატიანა ნიკოლოზის ასულის კომიტეტი. საანგარიშო წლის ბოლომდი (ნოემბრიდან) ტატიანას კომიტეტისაგან მიღებულია 51.500 მან. ამ ფულის დანიშნულებაა აჭარაში საავადმყოფოს გახსნა, სკოლების დაარსება, ლტოლვილთა დახმარება, ომისაგან დაზარალებულთა შვილების საჭიროების დაკმაყოფილება და სწავლის ფულის შეტანა და სხ. აქ საყურადღებო ისაა, რომ ტატიანას კომიტეტი ერთდროულ დახმარების გარდა ყოველ თვიურად (11.000 მ.) ეხმარება საზოგადოებას სკოლების და საავადმყოფოს შესანახად. მთავარი გამგეობა ტატიანას კომიტეტის მოწერილობისა და თანხების მიღებისთანავე შეუდგა მუშაობას საავადმყოფო-სკოლების დასაარსებლად. ეს საქმე დიდ შრომას თხოულობდა. მიუხედავად ამისა, როგორც სკოლები ისე საავადმყოფო ადრევე გაიხსნებოდა, რომ აჭარაში მოქმედების თავისუფლება კიდევ შეზღუდული არ ყოფილიყო და იქაური ხალხი სამარცხვინო და უმართებულო ბრალდების ქვეშ არ მოექციათ. როგორც ითქვა, ამის გასაბათილებლად ყოველნაირი ზომა იქნა მიღებული. სკოლა და საავადმყოფო სულ მალე დაიწყებს მოქმედებას ერთიანად დაზარალებულ მხარეში, ამ დაწესებულებათა მოქმედებას, თუ რამდენად ნაყოფიერი იყო ის, იხილავს ახალი 1916 წელი.

სხვა და სხვა დაწესებულებათა დახმარება

აგრეთვე საზოგადოებამ მიიღო შემოწირულება ლტოლვილთა, სახელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დობრ აჭარელთა სასარგებლოდ სხვა-და სხვა დაწესებულებათაგან და პირთაგან. სხვათა შორის დაგვეხმარენ დაზარალებულ ქართველთა ბაქოს „დამხარე კომიტეტი“, სრულიად რუსეთის ქალაქთა კავშირის კავკასიის განყოფილება, თბ. ქართველ ქალთა საქველმოქმედო საზოგადოება, ბაქოს ინტერნაციონალური კომიტეტი, განჯის მაჰმადიანთა საოლქო დამხმარე კომიტეტი და სხ.

კავკასიის ლტოლვილთა საქმის მთავარ-რწმუნებულმა საქველმოქმედო საზოგადოებას დაუკვეთა ლტოლვილებისათვის საზამთროთ 160,000 მანეთის ტანისამოსის და ქვეშაგების შეკერვა. ეს დიდი და უჩვევი საქმე იყო ჩვენი საზოგადოებისთვის. მთავარი გამგეობა თადარიგს ენერგიულად შეუდგა. აირჩია ქალთა კომიტეტი, რომელსაც ჩაბარდა საქმის პრაქტიკული განხორციელება. ქალთა კომიტეტის მთავარი მუშაობა შემდეგ წელიწადში გადმოვიდა და ამაზე აქ აღარ ვილაპარაკებთ ამ ჟამად. კომიტეტში შევიდნენ: ქქ. ა. მ. წერეთლისა (თავმჯდომარე), ნ. ნ. გაბაშვილისა (ხაზინადარი და ხელმძღვანელი); დ. ზ. ერისთავისა, ნ. ი. ნაკაშიძისა, ე. რ. გაბაშვილისა, ე. ი. აფხაზისა, ნ. ბ. ყიფიანისა, ე. ი. ჰეჰინაძისა, ნ. მ. მაჭავარიანისა, ბ. დ. გაბაშვილისა, ს. დ. ფორაქიშვილისა და პ. მ. სარაჯიშვილისა.

დაბრუნებული ლტოლვილნი.

როცა მტერმა ზარბაზნები დაუშინა შავი ზღვის დასახლებულ ნაპირებს, მცხოვრებლებმა დასტოვეს ყველაფერი და გამოიქცნენ. როცა ცოტა მშვიდობიანობა ჩამოვარდა, კაი ხნის შემდეგ, ისინი ნელ-ნელა უბრუნდებოდნენ თავიანთ უკვე აოხრებულ ბინადრობას. ესენი მეტად დაზარალებულნი არიან. ფოთის, ყულევის, ანაკლიის, ოჩემჩირის, სოხუმის და სხ. ადგილების დაბრუნებული ხალხი, განსაკუთრებით დემოკრატიული ნაწილი უკიდურეს სიღატაკეშია ჩავარდნილი საარსებო სახსრის და სამუშაოს დაკარგვით. ამას ოფიციალურათ ამტკიცებს მთელი ადგილობრივი ადმინისტრაცია და ადასტურებენ ქალაქთა თვითმართველობანი. რეგისტრაცია სწარმოებს. შუამდგომლობა აღიძრა. სხვაგან ხშირათ ასეთ დაზარალებულთ ერთდროულ დახმარებას უწევენ ლტოლვილთა თანხებიდან. ჩვენში კი ყველაფერს სხვანაირათ უყურებენ და ამიტომ ეს არ ხერხდება.

კერძო დახმარება.

ჩვენი საზოგადოება კერძო მოთხოვნილებებს და გაჭირვებულებს უწევდა დახმარებას როგორც ფულით და ნივთით ისე საქმიო—იურიდიულ და პრაქტიკულ საქმიანობით. საზოგადოება დროგამოშვებით ეხმარება უცხოეთში, მეტადრე საფრანგეთსა და შვეიცარიაში მომწყვდეულ ქართველობას.

სხვა საკითხები.

საზოგადოებამ თავის ნივთიერ საშვალებათა გასაძლიერებლად გამართა წარმოდგენები, ლხინობა და საღამოები, მოაწყო ლექციები და სხ. საზოგადოებას აქვს 15 სარაიონო განყოფილება. განყოფილებები ჯერჯერობით არ ეხმარებიან ნივთიერათ საზოგადოების მთავარ გამგეობას. პირიქით, ეს უკანასკნელი თავის უმთავრეს მოვალეობად სთვლის რითაც შეუძლია ყოველნაირი შეწყობა აღმოუჩინოს გამყოფილებებს ადგილობრივ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად. თუ რომელ განყოფილებას რამდენით დაეხმარა მთავარი გამგეობა, ვის რა და რისთვის გაეგზავნა, ფინანსიურ ანგარიშშია აღნიშნული. უთუოთ სათქმელია, რომ ჯერ კიდევ ნათლად არ არის გამორკვეული სარაიონო განყოფილებათა საურთიერთო განწყობილება და მათი მთავარ გამგეობასთან დამოკიდებულება. საზოგადოების წევრთა ოქტომბრის საგანგებო კრებაზე მიღებულ იქნა დროებითი ინსტრუქცია, რომელიც ჩვეულებრივმა წლიურმა კრებამ უნდა დაწვრილებით განიხილოს და შეავსოს ცხოვრების და განყოფილებათა მუშაობის მოთხოვნილების თანახმად.

გასულ წელში საზოგადოებას ჰყავდა თბილისში 250 ნამდვილი წევრი, ორი დამფუძნებელი და ერთი საპატიო წევრი. განყოფილებათა წევრების რაოდენობა ვერ მოგვყავს. ყველა განყოფილებაში 1,700 წევრზე ნაკლები არ იქნება. არ შეიძლება ითქვას, რომ ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებას ერთგვარი თანაგრძნობა არ მოეპოვებოდეს ჩვენ ხალხში. მაგრამ მიუხედავათ ამისა იგი ვერ დაიკვეხნის წევრთა სიმრავლით. სხვა მიზეზთა შორის აქ დიდ როლს თამაშობს ის გარემოება, რომ საზოგადოება სხვა და სხვა ოფიციალურ და ნახევრად ოფიციალურ დაწესებულებათაგან თანხებს ღებულობს. საზოგადოებაში ფიქრობენ—მთავარი გამგეობა საკმაო თანხას ღებულობს, საწევრო დახმარება იმდენად აღარ არის საჭიროვო. ასეთი აზრი უსაფუძვლოა. მიღებულ თანხებს ყველას განსაკუთრებული დანიშნულება აქვს (მაგ. სკოლა, საავადმყოფო, ლტოლვილნი, თავ-შესაფერი და სხ.) მაგრამ საზოგადოებას დასაკმაყოფილებელი აქვს სხვა მრავალგვარი მოთხოვნილებაც, რისთვისაც საჭიროა საშუალება. გარდა ამისა საწევრო გადასახადს და წევრთა რაოდენობას ეკონომიურ მნიშვნელობის გარეშე აქვს დიდი ზნეობრივ-საზოგადოებრივი მნიშვნელობა, რაც არასოდეს არ უნდა იქნეს დავიწყებული. სასურველია ქართველი საზოგადოების ყოველი შეგნებული წევრი სავალდებულოდ გაიხდიდეს ქართულ **საქველმოქმედო საზოგადოებაში** წევრად ჩაწერას.

საზოგადოებას ჰყავს სარევიზო კომისია, არჩეული წევრთა საგანგებო კრებაზე (იხ. ოქმები). მთავარი გამგეობის მოსამსახურეთა შტატს შეადგენდა წლის ბოლოში ხუთი კაცი. საანგარიშო წლის განმავლობაში მოხდა წევრთა საზოგადო საგანგებო კრება ორჯელ. ხოლო ქ. ს. ს—ის მთავარი გამგეობის კრება 62 ჯერ. კრებების რაოდენობით თუ ვიხელმძღვანელებთ, მთავარ გამგეობას უფრო ბევრი უმუშავნია მაისში და დეკემბერში (9 და 10 კრება), ყველაზე ნაკლებათ თებერვალში (ერთი კრება). დაწვრილებითი ცნობები სარაიონო განყოფილებათა უმრავლესობის და მათი გამგეობის კრებების შესახებ არ მოგვეპოება ამ ჟამად. საანგარიშო წლის განმავლობაში მოხდა საზოგადოების წევრთა საგანგებო კრება ორჯელ. 18 ოქტომბერს და 27 დეკემბერს.

(შემდეგი იქნება).

სოფლის კოოპერატივი

ბოდბისხევის მომხმარებელი ამხანაგობა

ინსტრუქტორმა მალაქია ტოროშელიძემ ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოების საკოოპერაციო სექციას ვრცელი მოხსენება წარუდგინა, რომელშიაც დაწვრილებით არის აწერილი ბოდბისხევის მომხმარებელ ამხანაგობის საქმიანობა. ბ-ნი ტოროშელიძე თითონ იყო ბოდბისხევში და ამხანაგობის მუშაობა ადგილობრივ შეისწავლა.

როგორც აღნიშნული მოხსენება მოგვითხრობს, მეოთხე წელიწადია, რაც ამხანაგობა დაარსდა ბოდბისხევში, მაშასადამე, მისი დაარსება თანამედროვე ომის კარტეხილით არ ყოფილა გამოწვეული, მაგრამ ომიანობისაგან შექმნილ პირობებს დიდად შეუწყვია ხელი ამხანაგობის გაზრდა-გაღონიერებისათვის. ამხანაგობას აქვს სავაჭრო მაღაზია, საცა წევრები, გარდა მანუფაქტურისა, ყოველგვარ საჭირო საქონელს იძენენ. მიმდინარე წლის დასაწყისში ამხანაგობის წევრთა რაოდენობა 123 კაცს არ აღემატებოდა, ამ ჟამად-კი 327 წევრი ირიცხება. წევრთა რიცხვის ასეთი საოცარი გადიდება იმ გარემოებით აიხსნება, რომ წარსულ წელს კოოპერატივის საქმეები მშვენივრად მოეწყო. წმინდა მოგება დარჩა ამხანაგობას 1.933 მან. 27 კაპ., რომელიც ამრიგათ იქმნა განაწილებული: დივიდენდის სახით წევრებს მიეცათ 10 მანეთიან პაიზე სამ-სამი მანეთი (30%), სულ 354 მანეთი, ნავაჭრის მიხედვით-კი ყველა წევრებმა მიიღეს 957 მან. 40 კაპ., რაიცა მაღაზიაში გაყიდული მთელი ჯამის 20 პროცენტს უდრის; სათადარიგო თანხაში გადაირიცხულა 521 მან. 87 კაპ.; 50 მან. შეუწირავთ ადგილობრივ სამკითხველოსათვის და 50 მან. გაუგზავნიათ მგოსან ირ. ევდოშვილისათვის, რომელიც იმ დროს კიდევ ცოცხალი იყო. ამხანაგობის ასეთ დიდ მოგებას ძლიერი შთაბეჭდილება მოუხდენია ხალხზე და ბევრიც ჩაწერილა წევრად. საპაიო თანხა ამ ჟამად უდრის 6 407 მან. 31 კაპ.

კოოპერატივის გამგეობა შესდგება 5 კაცისაგან, რომელთაც თავიანთ შორის არჩეული ჰყავთ საქმის ხელმძღვანელად და მართველად ბ-ნი გიორგი ნაცვლიშვილი. მართველი თავის შრომის ფასად მხოლოდ 20 მანეთს ღებულობს თვეში, მაგრამ მიუხედავად ამისა, როგორც მოხსენებაშია აღნიშნული., იგი მეტად ენერგიულად და კეთილსინდისიერად ემსახურება საზოგადო საქმეს. ანგარიშს აწარმოებს ადგილობრივი მღვდელი ლ. ნაცვლიშვილი, რომელიც აგრეთვე მცირე გასამრჯელოს ღებულობს (25 მან. თვეში), მაგრამ თავის საქმეს ბეჯითად და სინდისიერად ასრულებს. მაღაზიაში 1 პასუხისმგებელი ნოქარია, რომელსაც 50 მან. ეძლევა თვიურად და მას 2 უჯამაგირო თანაშემწე ჰყავს.

ასეთი მცირეა შტატი მაღაზიისა, რომელშიაც 1 ენკენისთვეს 66.807 მ. 14 კაპ. საქმე იყო დატრიალებული, კასის შემოსავალი უდრიდა 32.019 მ. 61 კაპ., გასავალი 31.327 მან. 72 კ. მომხსენებლის ბ-ნ ტოროშელიძის აზრით, რაიმე მოულოდნელმა გარემოებამ თუ ხელი არ შეუშალა ამხანაგობას, მიმდინარე წლის მოგება 3 ათას მანეთს გადააჭარბებს.

დასასრულ, ბ-ნი ტოროშელიძე თავის მოხსენებაში აღნიშნავს, რომ ადგილობრივი შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობა დიდ დახმარებას უწევდა მომხმარებელ ამხანაგობას, მეტადრე პირველ ხანებში, როცა უკანასკნელს საკმაო საკუთარი თანხა არ მოეპოვებოდა. დღესაც თურმე საუკეთესო განწყობილება სუფევს მათ შორის და ერთი მეორეს არ აკლებს ძმურად მეგობრულ დახმარებას. ეს შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობაც დიდი ხანი არ არის, რაც დაარსებულა, მაგრამ ეხლა უკვე 812 ამხანაგი ჰყავს და 1 ენკენისთვეს მისი ბალანსი 76.253 მ. 54 კაპ. უდრიდა.

ოზურგეთი

(წერა-კითხვის საზოგადოების განყოფილების დაარსება).

მართალია ქ. ოზურგეთი გურიის დედა ქალაქია და მაშასადამე კულტურული დაწესებულებებით ის გურიის დაბებსა და სოფლებზე მაღლა უნდა იდგეს, მაგრამ სამწუხაროდ ეს ასე არის. მაგალითად, წერა-კითხვის საზოგადოების განყოფილების დაარსება ოზურგეთში მოასწრო სოფლემა ლიხაურმა და დაბებმა: ხიდისთავმა, ლანჩხუთმა და ჩოხატაურმა. საბედნიეროდ 2 ამ თვეს განყოფილება ოზურგეთშიც დაარსდა. ამ დღეს თეატრის დარბაზში თავ. ერმ. ქ. ნაკაშიძის თავმჯდომარეობით და მიხა საბაშვილის მდივნობით შესდგა წევრთა პირველი კრება, რომელსაც მოხსენდა, რომ მთავარი გამგეობის მიერ უკვე ნებადართულია განყოფილების არსებობა. კრება, ვიდრე მორიგ საკითხების გარჩევას შეუდგებოდა, ფეხზე ადგომით პატივი სცა წერა-კითხვის საზოგადოების დაუშრეტელი წყაროს დამტოვებლის ქალ ეკატერინე სარაჯიშვილის ხსოვნას. შემდეგ მცირე კამათისა კრებამ გადასწყვიტა აირჩიოს გამგეობაში შვიდი წევრი და სარევიზიოში 3. თავმჯდომარეობა კრებამ სთხოვა თავ. დიმ. ქ. ერისთავს, რომელიც დაჟინებული თხოვნის შემდეგ დათანხმდა. კრების ორიოდე წევრის მოთხოვნით თავ. ერისთავსაც და სხვებსაც კენჭი უყარეს, რომლის შედეგი ასეთია: თავმჯდომარე თავ. დ. კ. ერისთავი, მისი ამხანაგი ქ-ნი ანნა მეთოდეს ასული ჭყონიასი, წევრები: ექიმი ავთ. ინგოროყვა, რუბ. ჩხაიძე, ქ. ნად. თოთიბაძისა, მიხა საბაშვილი, გერ. გოგიტიძე, ანტ. მუჯირი და სეფ. ბურჭულაძე. გამგეობის წევრთა კანდიდატებად: ავ. წულაძე და არ. თედორაძე. სარევიზიო კომისიის წევრებად: ბ. ბ. გრ. ჩიჩუა, თ. გოგიტიძე და ბეჟ. ხუნდაძე. გამგეობას დაევალა შეადგინოს სექციები: დრამატიული, სასკოლო, სახალხო კითხვების მომწყობი' და სხვა.

ხოჯ ოღლი.

წერილი რედ. მიმართ

მ. ხ. ბ-ნო რედაქტორო!

სოფ. კასპში ლოტოს თამაშობის დროს ქართველ ქალთა **ხასტატო სემინარიის ფონდის გასაძლიერებლად** შემოსწირეს: ქ. ქ. ნინო დარეჯანაშვილმა, ელისაბედ არონიშიძემ, ელენე ნათალიშვილმა და ბ-ნ X-მა ათათი შაური, ქ-ონ ოლღა არონიშიძემ ბ. ბ. არტემ, პავლე, ივანე და დომენტი არონიშიძეებმა და არჩ. დარეჯანაშვილმა თითო მანეთი, სულ 8 მანეთი, რომელსაც გაახლებთ დანიშნულებისამებრ გადასაცემად.

პატ. არჩ. დარეჯანაშვილი.

რედაქტორ-გამომცემელი
სანდრო შანშიაშვილი

10 ოქტომბერს, დილით 7 საათზე, სასტუმრო „იმპერიალში“ არტემ **გიორგის ძე ჯიქიას**

მოიპარეს

ტუჟურკა ლურჯი ფერისა, **პალტო** ნაცრის ფერისა, მოკლე პალტოა. ტუჟურკის ჯიბეში მქონდა ხელწერილი 15 მანეთის, ჩემოდანის გასაღები და და 1 მ. 20 კ. წვრილი ფული. ერთი თვე არ არის რაც ტუჟურკა ვიყიდე (მივეცი 30 მ.), კიდევ ერთი კვირის წინათ აქვე მოჰპარეს პალტო სასტუმროს პატრონს ირაკლი ჩხაიძეს. მნახველს ვთხოვთ მომართოს ზემო აღნიშნულ ადრესით.

(1–363–1)

სუსუნატი

ვისაც სურს ერთხელ და სამუდამოდ განიკურნოს იმ ავადმყოფობისაგან მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ მისი თავიდან მოშორება შეიძლება **სუსუნატის** წამლით პირველ-ხარისხოვანი „**გონოზანით**“. ეს წამალი სულ რამდენიმე დღეში ჰკურნავს დაძველებულ სუსუნატს. **საშვალება ნაცადია ტფილისის, რუსეთისა და საზღვარგარეთელ ექიმებისა და პროფესორების** მიერ და აღიარებულია საუკეთესო წამლად სუსუნატის მოსარჩენად.

ჩვენი გარანტია.

თუ თქვენთვის ეს საძნელო არ იქნება, გთხოვთ შეეკითხოთ რომელსაც გსურთ ექიმს ჩვენს აბებზე და ის აუცილებლად აგიხსნით, რომ ეს აბები საუკეთესო და რადიკალური საშვალებაა. საშვალება ერთნაირად ნაცადია მამაკაცებზეც და ქალებზეც. მაშ, ნუ ხარჯავთ დიდ ფულს უშედეგო წამლობაზე, რადგანაც 3 კოლოფი და სამი შუშხაპუნებით რომელიც წამალთან არის ერთად, სავსებით ჰკურნავს ავადმყოფს ამ მძიმე სენისაგან.

ერთი კოლოფი აბებისა ღირს 4 მან. და 3 შუშა შუშხაპუნებული ღირს ცხრა მან. სხვა ქალაქებში გაიგზავნება 3 მანეთის მიღების შემდეგ.

მიწერ-მოწერა და წამლის დაკვეთა შეიძლება მხოლოდ **რ. შმიდტ** თბილისი, თხინვალის ქუჩა № 12 ოტდ. 3. მახლობლად გოლოვინის პროსპექტისა და მელიქოვის ქუჩის.

Р. Шмидтъ, Тифлисъ, Тхинвалская ул. № 12 отд. 3.

პირადად ნახვა შეიძლება 2—5 საათამდე. წამალი იყიდება მთელი დღე.

—300—

სავაჭრო სახლი
„ძმ. სესიევები და ამხ.“
(ვაგზლის ქ. № 6)
ამით აუწყებს საზოგადოებას, რომ **პირველ ივნისიდან** ამა 1916 წ. თავის საწყობში წვრილად გაიყიდება
ნამდვილი კახური საკუთარი ვენახების ღვინო

საგალანტერიო მაღაზია
ერ. ივ. ჭავჭანიძისა და
ი. ი. გველესიანისა
იმყოფება შუა ბაზარში, მანთაშევის ქარვასლაში.
იშოვება ყოველგვარი საგალანტერიო საუკეთესო საქონელი:
ჩულქეულობა, კოლგები და სხვა ახალ მოდის საქონელი
(101—წ.)

ქ. ბაქოში
ღვინით ვაჭრობა
„მელაანი“
თ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი და ამხ.
იშოვება საუკეთესო კახური ღვინოები
(112—წ.)

გამოვიდა და იყიდება
კ. ოცხელის და ამხ. წიგნის მაღაზიაში
(ქუთაისში)

რუსული ენის პირველ დაწყებითი სახელმძღვანელო „Новое Слово“ ნაწ. I, მეორე გამოცემა. უხვად დასურათებული, შედგენილი **ს. ოცხელის მიერ.** ფ. ყდით 2 აბაზი.

ამ წიგნის პირველ გამოცემას თითქმის ყველა ქართული პერიოდული გამოცემა (გარდა ჟურნ. „განათლებისა“) თანაგრძნობით შეხვდა.

პრაქტიკის მქონი მასწავლებლები გამოცდილების შემდეგ იმ დასკვნამდე მივიდენ, რომ „Новое Сслово“-თ სწავლებით მოწაფეები არაჩვეულებრივი ხალისით და წარმატებით ითვისებენ რუსულ ენას.

სასწავლო ოლქმა თანახმად მზრუნველის რჩევის დადგენილებისა ავტორს აცნობა ოლქის რეცენზენტის აზრი, სადაც სხვათა შორის ნათქვამია: Способъ разучиванія матеріала, предложенный составителемъ „Новаго слова“ имѣетъ несомнѣнныя достоинства, н умѣлое пользованіе имъ значительно оживитъ преподаваніе, а равно и усвоеніе дѣтьми русскаго языка... „Новое слово“ можетъ быть признано вполнѣ подходыщимъ руководствомъ для грузинскихъ народнихъ школъ“.

(თ.—225—18)

თევზის მრეწველნი
ძმ. ძეგველოვები
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „**დ. მაილოვის-ზმით**, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზილალა**, მცირე მარილიანი, შავი „**ჯემ-შიჩნი**“ ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და **საზღვარ-გარეთის** ფირმებისა ხანგრძლივ [illegible]

განცხადება

კახეთის რკინის გზის გამგეობა აცხადებს, რომ 1916 წლის 18 ღვინობისთვიდან სახალხო და საბარგო მატარებლების მიმოსვლა თბილის-თელავ-წნორის-წყალზე ყოველ დღე შემდეგის წესით იწარმოებს:

სახალხო-საბარგო მატარებლები თბილის-თელავში № 4
მე-II და მე-III კლ. ვაგონები.

სადგურების სახელები.	პეტროგრადის საათით.		
	მოდის.	სდგას წ.	გადის.
თბილისი	—	—	8 დილის.
ნავთლუღი-ამიერ-კავკასიის	8—16	10	8—26
ნავთლუღი-კახეთისა	8—31	10	8—41
ვაზიანი	9—33	5	9—38
იორი	10—22	5	10—27
საგარეჯო.	10—54	16	11—10
ბადიაური.	11—52	5	11—57
მელაანი.	1—05 ნაშ.-დლ.	10	1—15 დღე.
გურჯაანი.	2—20	20	2—40
ვაჩნაძიანი.	3—13	12	3—25
თელავი	4—00	—	—

სახალხო-საბარგო მატარებლები თელავ-თბილისში № 3
მე-II და მე-III კლ. ვაგონები.

სადგურების სახელები.	პეტროგრადის საათით.		
	მოდის.	სდგას წ.	გადის.
თელავი	—	—	10—15 დილის
ვაჩნაძიანი	10—50	10	11—00
გურჯაანი.	11—35	25	12—00 დღე
მელაანი	1—00 ნაშ.-დლ.	10	1—10
ბადიაური.	2—00	7	2—07
საგარეჯო.	2—53	12	3—05
იორი	3—35	5	3—40
ვაზიანი	4—12	5	4—17
ნავთლუღი-კახეთისა	4—52	8	5—00
ნავთლუღი-ამიერ-კავკასიისა.	5—05	5	5—10
თბილისი	5—26	—	—

სახალხო-საბარგო მატარებელი გურჯაანიდან-წნორის-წყლამდე № 6.

გურჯაანი.	—	—	ნაშ.-დლ. 3—00
კარდანახი	3—33	12	3—45
წნორის-წყალი	4—10	—	—

სახალხო-საბარგო მატარებელი წნორის-წყლიდან გურჯაანამდე № 5.

წნორის-წყალი	დილის —	—	დილის 10—32
კარდანახი	10—55	6	11—01
გურჯაანი	11—30	—	—

1) მატარებელნი № 4 და 3 სართიჭალისა, კაჭრეთისა, მუკუზანისა და წინანდალის ბაქანებზე 2 წუთს ჩერდება.
2) მატარებელნი № 4 და 3 მელაანის სადგურზე შეხვდებიან.
3) **პეტროგრადის დრო ჩვენებურისაზე 58 წუთით უკან არის.**

ნებადართულია სამხედრო ცენზურისაგან

სტამბა „ცხოვრება“ კალანდაძისა, გაბაევის შესახვევი № 4.